პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 49-ე წელი • № 182 (14178)

6 აგვისტო, სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

## სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი

1968 წლის 3 აგვისტოს საღამოს ბრატისლავაში დამთავრდა ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირი მიმდინარეობდა გულახდილ ამხანაგურ ატმოსფეროში და დამთავრდა ერთობლივი განცხადების ერთსულოვნად მიღებით.

## ხელი მოაწერეს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადებას

ბრატისლავა, 3 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბრატისლავის რატუშის შენობაში საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადებას.

განცხადების საზეიმო ხელმოწერის შემდეგ მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა.

დარწმუნებული ვართ, თქვა ა. დუბჩეკმა, რომ დოკუმენტს, რომელსაც ხელი მოვაწერეთ, დიდი მნიშვნელობა ექნება სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის განმტკიცებისათვის ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა და ყველა სხვა დარგში, ჩვენი მოძმე პარტიების ურთიერთობის განმტკიცებისათვის, დანარჩენი კომუნისტური და მუშათა პარტიების ინტერნაციონალური ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

# სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადება

1968 წლის 3 აგვისტოს ბრატისლავაში გაიმართა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის კომუნისტური პარტიისაგან — **ტ. ჟივკოვი**, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; **ს. ტოდოროვი**, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **პ. კუბადინსკი**, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან — **ვ. ულბრიხტი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე; **ვ. შტოფი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; **ე. ჰონეკერი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **ჰ. მატერნი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური პარტიული საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე; **გ. მიტაგი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ჰ. აქსენი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისაგან — **ვ. გომულკა**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ი. ცირანკევიჩი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; **ზ. კლიშკო**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ა. სტარევიჩი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან — **ლ. ი. ბრეჟნევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი; **ნ. ვ. პოდგორნი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე; **ა. ნ. კოსიგინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; **მ. ა. სუსლოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **პ. ე. შელესტი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **კ. თ. კატუშევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **ბ. ნ. პონომარიოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისაგან — **ი. კადარი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ე. ფოკი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე; **ზ. კომოჩინი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან — **ა. დუბჩეკი**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ო. ჩერნიკი**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; **ი. სმრკოვსკი**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე; **ვ. ბილიაკი**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ი. ლენარტი**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი. ჩეხოსლოვაკიის მხრივ ესწრებოდა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ლ. სვობოდა**.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა, ხელმძღვანელობენ რა იმით, რომ რთული საერთაშორისო ვითარება, იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი მოქმედება, რაც მიმართულია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ, სოციალიზმის საქმის წინააღმდეგ, მოითხოვს სოციალისტური სისტემის ქვეყნების შემდგომ შეკავშირებას, აგრეთვე ითვალისწინებენ რა, რომ სოციალიზმის განვითარება სახავს ახალ ამოცანებს, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა სოციალისტურ სახელმწიფოთა ძალების შემდგომი გაერთიანება, საჭიროდ ცნეს ეს თათბირი მოეწვიათ ბრატისლავაში.

დამკვიდრებულ ტრადიციათა სულისკვეთებით, სრული გულახდილობის, პრინციპულობისა და მეგობრობის ვითარებაში მოძმე პარტიებმა განიხილეს სოციალიზმისათვის ბრძოლის, სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების აქტუალური საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები თანამედროვე საერთაშორისო ვითარებისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პრობლემებზე.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა განიხილეს სოციალისტურ სახელმწიფოთა ძმური თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების გზები.

ფაშიზმის განადგურებისა და ხელისუფლების სათავეში მუშათა კლასის მოსვლის შემდეგ განვლილ წლებში ევროპის ქვეყნების ხალხებმა, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ, მოიპოვეს გამარჯვებანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ წლების მანძილზე პარტიებმა, ძლევდნენ რა სიძნელეებს და განუწყვეტლივ სრულყოფდნენ მუშაობას, უზრუნველყვეს თვითეულ სოციალისტურ ქვეყანაში მძლავრი ინდუსტრიის შექმნა, სოფლის ცხოვრების გარდაქმნა. მიაღწიეს ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას, ეროვნული კულტურის აყვავებას. მილიონობით მშრომელი ჩაბმულია შეგნებულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვა საბჭოთა კავშირმა. განუზომლად გაიზარდა სოციალისტურ სახელმწიფოთა საერთაშორისო გავლენა, მათი როლი მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრაში.

მხარდაჭერა, განმტკიცება და დაცვა ამ მონაპოვრებისა, რომლებიც თვითეული ხალხის გმირული მეცადინეობისა და თავდადებული შრომის შედეგია, ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთო ინტერნაციონალური მოვალეობაა. ასეთია ერთსულოვანი აზრი თათბირის ყველა მონაწილისა, რომლებმაც განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განავითარონ და დაიცვან სოციალისტური მონაპოვრები თავიანთ ქვეყნებში, მიაღწიონ ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მოძმე პარტიები დარწმუნდნენ, რომ წინსვლა სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ზუსტად და თანმიმდევრულად იხელმძღვანელებენ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ზოგადი კანონზომიერებით და უწინარეს ყოვლისა განამტკიცებენ მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელ როლს. ამასთან თვითეული მოძმე პარტია შემოქმედებითად უნდა წყვეტდეს შემდგომი სოციალისტური განვითარების საკითხებს და ითვალისწინებდეს ეროვნულ თავისებურებებსა და პირობებს.

სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებასა და იმპერიალიზმის ხრიკების მოგერიებაში წარმატებათა საწინდარია ურყევი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, ხალხის მასების აღზრდა სოციალიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების სულისკვეთებით, შეურიგებელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მთელი ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ.

იმპერიალიზმის, აგრეთვე მთელი სხვა ანტიკომუნისტური ძალების ყოველგვარ ცდებს შეასუსტონ მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელი როლი, მოძმე პარტიები მტკიცედ და გადაჭრით უპირისპირებენ თავიანთ ურღვევ სოლიდარობას, დიდ სიფხიზლეს. ისინი არასოდეს და არავის არ მისცემენ ნებას განხეთქილება ჩამოაგდონ სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის, ძირი გამოუთხარონ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს. ამ მიმართულებით ძმური მეგობრობა და შეკავშირება შეესაბამება ჩვენი ხალხების საარსებო ინტერესებს, საიმედო საფუძველია იმ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებზეც მუშაობენ ჩვენი ქვეყნების კომუნისტური პარტიები.

მოძმე პარტიებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ განუწყვეტლივ იზრუნონ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ყოველმხრივი პროგრესისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების საფუძველზე პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

თვითეულ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტა ბევრად ადვილდება ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის პირობებში.

ძმური ურთიერთობა აფართოებს და ამრავლებს სოციალიზმის თვითეული ქვეყნის შესაძლებლობებს. თათბირის მონაწილეებმა გამოხატეს მტკიცე მისწრაფება ყველაფერი იღონონ თავიანთი ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისათვის თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, ძმური ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის პრინციპების საფუძველზე.

კომუნისტური და მუშათა პარტიები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ეფექტიანად გამოიყენონ ჩვენი ქვეყნების უდიდესი ბუნებრივი რესურსები, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, სრულყონ მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ფორმები და მეთოდები და ამით კიდევ უფრო განავითარონ ეკონომიკა, გააუმჯობესონ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ამ კეთილშობილური მიზნების მიღწევის ეფექტიანი გზაა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის განვითარება ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის სრულყოფას, სოციალიზმის ქვეყნების წარმოების კოოპერირებისა და სპეციალიზაციის განვითარებას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს უფრო სრულად გამოვიყენოთ შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების უპირატესობანი.

ამასთან დაკავშირებით თათბირის მონაწილეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ აქტუალურია უახლოეს დროში მოეწყოს ეკონომიური თათბირი უმაღლეს დონეზე.

თათბირის მონაწილეებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მიაპყრონ ხალხთა ყურადღება იმას, რომ იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის შედეგად ამ ბოლო დროს საერთაშორისო ვითარება კვლავ რთული და საშიშია. ამ პირობებში სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიები, ხელმძღვანელობენ რა საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის გადაჭრით მოგერიების ორგანიზაციისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ინტერესებით, კვლავ ადასტურებენ, რომ მზად არიან შეთანხმებულად და კოორდინირებულად იმოქმედონ საერთაშორისო ასპარეზზე.

მუშათა კლასს, გლეხობას, ინტელიგენციას, ყველა მშრომელთ სწყურიათ თავიანთი ქვეყნების, დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანის მშვიდობა და სიმშვიდე. სოციალისტური ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ხმარობენ და იხმარენ, რათა ახდეს ხალხთა ეს სანუკვარი ოცნება. ჩვენი პარტიები აცხადებენ, რომ ამ კეთილშობილური ამოცანის გადაწყვეტისათვის კვლავაც ითანამშრომლებენ ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან, მშვიდობის მთელ პროგრესულ ძალებთან საყოველთაო მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალისტური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიები კვლავ საზეიმოდ აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც დაუჭირონ მხარი გმირ ვიეტნამელ ხალხს, საჭირო დახმარება გაუწიონ მას სამართლიან ბრძოლაში ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ.

ჩვენ გვაწუხებს აგრეთვე ის, რომ ისრაელის მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკის შედეგად მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში კვლავ დაძაბულია. ჩვენი პარტიები კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე მოხდეს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაცია და ისრაელის ჯარები გაყვანილ იქნან ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს მდგომარეობა ევროპაში და აღნიშნავენ, რომ რევანშიზმის, მილიტარიზმისა და ნეონაციზმის ძალების აქტივიზაცია დასავლეთ გერმანიაში უშუალოდ ეხება სოციალისტურ სახელმწიფოთა უშიშროებას და საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობის საქმეს. ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად განვახორციელებთ ევროპის საქმეებში შეთანხმებულ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება სოციალისტური ქვეყნების საერთო ინტერესებს, ევროპის უშიშროების ინტერესებს, საკადრის პასუხს გავცემთ მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადასინჯვისა და ევროპის ახლანდელი საზღვრების დარღვევის ყოველგვარ ცდებს; ჩვენ კვლავაც დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ მიუნხენის შეთანხმებანი იმთავითვე ძალადაკარგული იყო, ჩვენ მტკიცედ დავუჭერთ მხარს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — გერმანელ მშრომელთა სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც მშვიდობის საქმეს იცავს; ჩვენ მუდმივ დახმარებას გავუწევთ გერმანიის კომუნისტურ პარტიასა და მთელ იმ ძალებს, რომლებიც მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიული პროგრესისათვის იბრძვიან.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიები გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას იბრძოლონ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ადასტურებენ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბუქარესტის დეკლარაციისა და კარლოვი ვარის კონფერენციის განცხადების პრინციპებს. ისინი მზად არიან ყველაფერი იღონონ ევროპის ხალხთა კონგრესის მოწვევისათვის ჩვენი კონტინენტის მშვიდობის დასაცავად. არ დავუშვათ ევროპის მშვიდობის დარღვევა — ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებისათვის მთელ მსოფლიოში. ჩვენი ერთობლივი ღონისძიებანი წარიმართება ამ მიზნის მისაღწევად, რომელიც ყველა ხალხის ინტერესებს ეხება.

დღეს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტური ძალები ავლინებენ თავიანთ აგრესიულ აქტივობას, დაჟინებით ცდილობენ შეასუსტონ სოციალისტური თანამეგობრობა, მოძმე პარტიათა წარმომადგენლებს საჭიროდ მიაჩნიათ ერთხელ კიდევ გაუსვან ხაზი ვარშავის ხელშეკრულების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ეს ხელშეკრულება, რომელიც სოციალისტურმა სახელმწიფოებმა დადეს ნატოს აგრესიულ იმპერიალისტურ ბლოკში რევანშისტული დასავლეთ გერმანიის შესვლის პასუხად, ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორი იყო და არის. იგი დაუძლეველი დაბრკოლებაა ყველასათვის, ვისაც სურს მეორე მსოფლიო ომის შედეგების რევიზია. იგი საიმედოდ იცავს მოძმე სახელმწიფოთა სოციალისტურ მონაპოვრებს, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. იგი მიზნად ისახავს ევროპის უშიშროების განმტკიცებას, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებას.

თანამედროვე ვითარება ჩვენგან მოითხოვს შეუნელებელ ღონისძიებებს თვითეული სოციალისტური სახელმწიფოს და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვისუნარიანობის გადიდებისათვის, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

თათბირის მონაწილეებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ თანმიმდევრულად იბრძოლონ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცებისათვის. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო დროს დიდი მუშაობა შესრულდა კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირის მომზადებისათვის. მოძმე პარტიები დიდად აფასებენ ამ მუშაობას და გამოთქვამენ რწმენას, რომ მომავალი თათბირი წარმატებით მოეწყობა და დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების კონსოლიდაციის საქმეში.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ერთიანი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, კომუნისტური და მუშათა პარტიების, როგორც საზოგადოების ავანგარდისა და ხელმძღვანელის როლი, ჩვენი სახელმწიფოების სახალხო მეურნეობის სოციალისტური საფუძვლები კვლავაც სოციალიზმის ქვეყნების შემდგომი შეკავშირების, საერთო დიადი მიზნებისათვის ბრძოლაში მათი მოქმედების ერთიანობის ქმედითი ფაქტორები იქნება.

ბრატისლავის თათბირის მონაწილე პარტიები აქვეყნებენ ამ განცხადებას და ღრმად სწამთ, რომ აქ ჩამოყალიბებული პოზიციები და შეხედულებანი შეესაბამებიან ყველა მოძმე ქვეყნისა და პარტიის ინტერესებს, ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურღვევი მეგობრობის საქმეს, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის ინტერესებს.

**ბულგარეთის კომუნისტური პარტიისაგან**
ტ. ჟივკოვი
ს. ტოდოროვი
პ. კუბადინსკი

**გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან**
ვ. ულბრიხტი
ვ. შტოფი
ე. ჰონეკერი
ჰ. მატერნი
გ. მიტაგი
ჰ. აქსენი

**პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისაგან**
ვ. გომულკა
ი. ცირანკევიჩი
ზ. კლიშკო
ა. სტარევიჩი

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან**
ლ. ბრეჟნევი
ნ. პოდგორნი
ა. კოსიგინი
მ. სუსლოვი
პ. შელესტი
კ. კატუშევი
ბ. პონომარიოვი

**უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისაგან**
ი. კადარი
ე. ფოკი
ზ. კომოჩინი

**ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან**
ა. დუბჩეკი
ო. ჩერნიკი
ი. სმრკოვსკი
ვ. ბილიაკი
ი. ლენარტი

# სკკპ დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

5 აგვისტოს ბრატისლავიდან მოსკოვში დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები კ. თ. კატუშევი, ბ. ნ. პონომარიოვი, რომლებიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირში. (საკდესი).

# ზეიმი ალორძინებულ ორიოლის ოლქში

ორიოლის — ომით გადაბუგული მხარის მცხოვრებლებმა საზეიმოდ აღნიშნეს კურსკის ბრძოლის, ფაშისტ დამპყრობთაგან ორიოლის განთავისუფლების 25 წლისთავი.

5 აგვისტოს დაღუპულ მეომართა ძეგლი გვირგვინებითა და თაიგულებით შეამკეს.

რკინიგზელთა კულტურის სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება. კრებაში მონაწილეობდნენ ქალაქ ორიოლისა და ორიოლის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები, მოსკოველი, ბელგოროდელი, ბრიანსკელი, კურსკელი, ლიპეცკელი, ვილნიუსელი სტუმრები და სხვა ქალაქების წარმომადგენლები — ომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, კულტურის მუშაკები.

ორიოლის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ს. მეშკოვი გულითადად მიესალმა სტუმრებს.

ტაშის გრიალში აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით. დარბაზში შემოიტანეს საბრძოლო და შრომითი დიდების დროშები. ერთ-ერთ მათგანზე მიმაგრებულია ლენინის ორდენი. ეს მაღალი ჯილდო ორიოლის ოლქს მიენიჭა მამაცობისა და სიმტკიცისათვის, რაც მშრომელებმა გამოიჩინეს სამშობლოს დაცვის დროს სამამულო ომის პერიოდში, და სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

დარბაზში მსხდომთ პატივი სცეს საბჭოთა კავშირის მარშლის კ. კ. როკოსოვსკის, კურსკის ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორის ხსოვნას.

მოხსენება ისტორიული ბრძოლის 25 წლისთავის შესახებ გააკეთა სკკპ ორიოლის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. ი. სოკოლოვმა.

კრებაზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ჯ. კაირისი, ორიოლის ოლქის გორკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დ. ანტონოვი, მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშა ი. ა. კირილოვი, ბელგოროდის, ბრიანსკის, კურსკისა და სხვა ოლქების დელეგაციათა ხელმძღვანელები.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ბულგარეთის რაზგრადის ოლქის დელეგაციის ხელმძღვანელის ბონჩო მიტევის გამოსვლას. ორიოლის ოლქის მშრომელებს ამ ოლქის მშრომელებთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

დღის მეორე ნახევარში ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სპორტული დღესასწაული. პარკებში, ქუჩებში და მოედნებზე მოეწყო სახალხო სეირნობა.

ი. პოლუშინი.
საკდესის კორესპონდენტი.

ორიოლი

# სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1968 წლის 3 აგვისტოს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 72 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, ნიჭიერი საბჭოთა სარდალი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი საბჭოთა კავშირის მარშალი

**კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე როკოსოვსკი.**

| სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |
|---|---|---|

## სტატიების კრებული: „თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები"

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები". ეს არის სტატიების კრებული, რომლებიც დაწერეს მსოფლიო ეკონომიკის დარგის ცნობილმა სპეციალისტებმა. ამ სტატიებში გაშუქებულია თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერებანი და ტენდენციები.

სტატიები გამოქვეყნდა ჟურნალში „მიროვაია ეკონომიკა ი მეჟდუნაროდნიე ოტნოშენია". ისინი შევიდა წიგნში მთელი რიგი დამატების შემდეგ.

წიგნი განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებიც თანამედროვე იმპერიალიზმის ეკონომიურ პრობლემებს სწავლობენ.

(საკდესი).

## ახალი მანქანები მწყობრში

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხანა ათობით სხვადასხვა დასახელების პროდუქციას უშვებს.

მიმდინარე წელს ორჯონიკიძელებმა აითვისეს ყურძნის გადასამუშავებელი ნაკადური ხაზების გამოშვება, რომლებიც განკუთვნილი არიან ღვინის პირველადი გადამუშავების ქარხნებისათვის.

ახალი მანქანები შესაძლებლობას იძლევიან საათში 30 ტონა ყურძენი გადამუშავდეს.

ქარხანამ უკვე მიიღო დაკვეთები ახალ მანქანებზე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან, ბულგარეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ამწყობთა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ირაკლი მაჩაბელი ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს.

• • •

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) მოწინავე ამწყობები პავლე პარამონოვი, ირაკლი მაჩაბელი და არამ მაკოიანი.

ფოტო ზ. კიკვაძისა და თ. შენგელიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).



# მაღაროელთა და მეცნიერთა თანამეგობრობა

## ტექნიკური პროგრესის გზაზე

ჭიათურის მარგანეცის საბადოს, რომელიც თავისი მნიშვნელობით მსოფლიოში უნიკალურია, 1969 წელს 90 წელი უსრულდება.

ოქტომბრის რევოლუციამდე ჭიათურის საბადოს დამუშავება მტაცებლურად, ყოველგვარი წესების დაუცველად წარმოებდა, მაღაროელთა შრომა მეტად უხალისო და მომქანცველი იყო. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე არავინ ფიქრობდა.

ფ. მახარაძე 1902 წელს „კვალში" წერდა: „რომ იცოდეთ, სად ატარებენ ღამეებს ჭიათურელი მუშები, ან როგორ იკვებებიან ისინი, რამდენ საათს მუშაობენ დღე-ღამეში, გაოცდებით; მაგრამ თქვენთვის წარმოუდგენელია ის ბნელი, ნესტიანი მიწური ხოხმახები, რომლებიც ყველაფერს ჰგავს, გარდა ადამიანის სადგომისა. აი რაში ცხოვრობენ ჭიათურაში მომუშავენი! როცა უყურებ აქ ცხოვრებას, ძალაუნებურად გაიფიქრებ, რომ ადამიანის პიროვნებას ასე მდაბლად არსად არ უნდა ათასებდნენ როგორც ჭიათურის მაღნებში..."

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჭიათურის მანგანუმის მადნის მრეწველობაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს მუშების შრომა აუტანელ პირობებში, მარგანეცის ხელით მოპოვება, სახედრებითა და ურმებით მისი გადაზიდვა. ახლა ლენინის ორდენოსანი ჭიათურის მარგანეცის ტრესტი ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ფართოდ განვითარდა სამთო ტექნიკა როგორც მიწისქვეშ, ისე ზედაპირზე. წარმოებაში დამკვიდრდა საბურღავი და სატვირთავი მანქანები, საშახტო ელმავლები, დაინერგა მადნის დამუშავების პროგრესული მეთოდები. სისტემატურად უმჯობესდება მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. მარგანეცის ქალაქი ჭიათურა და მუშათა დასახლებული უბნები სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა მაღაროელთა და მეცნიერ მუშაკთა თანამშრომლობამ. კერძოდ, დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტი.

ჩვენი საბადოს ეფექტური ათვისებისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დამუშავების საუკეთესო მეთოდების შერჩევა. ამ მხრივ ტრესტმა აღნიშნულ ინსტიტუტთან ერთად დიდი და მრავალფეროვანი სამუშაო გასწია, რითაც შეიქმნა საბადოს რაციონალურად დამუშავების მეცნიერული საფუძვლები.

განსაკუთრებით ფართო სამუშაოები იქნა შესრულებული ჭიათურის პირობებისათვის ყველაზე უფრო პროგრესული — ლავების მეთოდის სამრეწველო პარამეტრების დასადგენად, რამაც ხელი შეუწყო ამ მეთოდის მნიშვნელოვნად გაფართოებასა და დანერგვას ჭიათურის მაღაროებში.

ჭიათურის მარგანეცის საბადოს ახალ ველებში განლაგებულია ძირითადად რთული სტრუქტურის მარგანეცის მადნის ფენები, რომელთა ქვედა წყობა ჟანგეულს, ხოლო ზედა — კარბონატულ ან დაჟანგულ (ფორებიან) მადანს წარმოადგენს. მეტალურგიული მრეწველობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მადნების ამ სახესხვაობათა მოპოვება მხოლოდ განცალკევებით უნდა განხორციელდეს.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერმა-თანამშრომლებმა წარმოების მუშაკებთან ერთად საცდელ-სამრეწველო სამუშაოები შეასრულეს კალინინის სახელობის, ახალი ითხვისისა და ახალი დარკვეთის მაღაროებში მარგანეცის მადნების სახესხვაობათა განცალკევებული მოპოვების ხელსაყრელი მეთოდების გამოსავლინებლად, და მიღებული რეკომენდაციები დაინერგა წარმოებაში. ჭიათურის მაღაროებში გაყვანილია სხვადასხვა დანიშნულების გვირაბების ფართო ქსელი, რომელთა საიმედო გამაგრება მეტად აქტუალური საკითხია. საცდელ-სამრეწველო სამუშაოთა შესრულების შედეგად ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ მიზანშეწონილია კაპიტალურ გვირაბებში გამოყენებულ იქნას ორიგინალური კონსტრუქციის რკინაბეტონის ასაწყობი თხელკედლიანი თაღოვანი სამაგრი. ასეთი სამაგრი უკვე ინერგება ჭიათურის მაღაროებში. ფართო მასშტაბის სამრეწველო ცდები ჩატარდა აგრეთვე მოსამზადებელ და დამჭრელ გვირაბებში შტანგური სამაგრის გამოყენებაზე. გამოკვლევის შემდეგ დადგენილ იქნა შტანგური სამაგრის ყველაზე მიზანშეწონილი კონსტრუქცია და გამაგრების ოპტიმალური პარამეტრები. ამის საფუძველზე ყოველწლიურად შტანგური სამაგრით მაგრდება რამდენიმე ასეული გრძივი მეტრი გვირაბი.

ა. სკოჩინსკის სახელობის მოსკოვის სამთო საქმის ინსტიტუტთან ერთად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტმა შეისწავლა ღია სამუშაოებზე იაფი ასაფეთქებელი მასალის „იგდანიტის" გამოყენების ეფექტი და მიღებული შედეგები კიდევაც დაინერგა წარმოებაში. ღია სამუშაოებზე „იგდანიტის" გამოყენებით მიღებულმა ეკონომიამ წლიწადში 50 ათასი მანეთი შეადგინა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ელექტრომექანიკის კათედრასთან ერთად საჰაერო-საბაგირო გზების კვლევის დარგში ნაყოფიერად მუშაობს სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტი. შემუშავებულია საჰაერო-საბაგირო გზის ავტომატიზაციის ორიგინალური სქემა და ამის საფუძველზე შესრულებულია მუშა-პროექტები ჭიათურის რამდენიმე გზისათვის. ამჟამად ჭიათურის ხუთ საჰაერო-საბაგირო გზაზე განხორციელებულია ავტომატიზაცია.

აღსანიშნავია, რომ სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია მრავალი შრომა ჭიათურის მანგანუმის საბადოს რაციონალური დამუშავების საკითხებზე. ეს შრომები დიდ დახმარებას უწევენ ჭიათურის მუშაკებს ყოველდღიურ მუშაობაში და საჭირო მასალას წარმოადგენენ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სხვადასხვა ობიექტების შემდგომი პროექტირებისათვის. საყურადღებოა საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მადნეულთა დამუშავებისა და გაყვანა-გამაგრების კათედრის მიერ დარკვეთის მაღაროებში მილისებური რკინაბეტონის ბიგების გამოყენებაზე ჩატარებული საცდელი სამუშაოები, რაც გვირაბთა გამაგრებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალის მნიშვნელოვანი ეკონომიის საშუალებას იძლევა.

მეტად სასარგებლო ცდები მიუძღვნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტმა მარგანეცის მადნის ღია წესით გამომუშავებულ ფართობზე ნიადაგის აღდგენისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მისი რაციონალური გამოყენების საკითხებს. მუშაობის შედეგების მიხედვით 170 ჰექტარ გამომუშავებულ ფართობზე წარმოებს ნიადაგის აღდგენისა და კეთილმოწყობის სამუშაოები; ასევე დიდ მუშაობას ეწევა ქ. რუსთავის საკონსტრუქტორო ინსტიტუტი „ავტომატმრეწვი", რომლის მიერ დამუშავებული პროექტების მიხედვით მრავალი საწარმო გადავიდა დისტანციურ და ავტომატურ მართვაზე და მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რამდენიმე კათედრა მუშაობს ჩვენი მაღაროების და გამამდიდრებელი ფაბრიკების მოწინავე ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვის საკითხებზე.

აქვე შეგვიძლია დავასახელოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და ქიმიის ინსტიტუტები, ქ. ლენინგრადის ინსტიტუტი „მეხანობრი", ქ. კრივოი როგის ინსტიტუტი „მეხანობრჩერმეტი" და მრავალი სხვა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქ. კრივოი როგის ინსტიტუტი „გიპრორუდმაში", რომლის მიერაც უკანასკნელ წლებში ჩვენი მარგანეცის ტრესტის ინჟინრებთან ერთად დამუშავებულ იქნა ისეთი ახალი კონსტრუქციის მანქანები, როგორიც არის მცირეგაბარიტიანი სატვირთო მანქანა, ბუნკერმატარებელი, თვითმავალი საბურღი ურიკა, ღუნვადი კონვეიერი, წმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო მექანიზმთა კომპლექსი და სხვ. ჩამოთვლილი მანქანები ძირითადად დანერგილია წარმოებაში, რამაც 2-3-ჯერ გაზარდა მადნის მონგრევისა და დატვირთვის პროცესების შრომის ნაყოფიერება. აღნიშნულ ინსტიტუტს, ისევე როგორც ქ. რუსთავის ინსტიტუტ „ავტომატმრეწვს", ჭიათურაში აქვს თავისი ფილიალი და საბაზო ლაბორატორია, რაც ძალზე უწყობს ხელს მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და ახალი კონსტრუქციის მანქანების წარმოებაში დანერგვას.

დიდი პერსპექტივებია დასახული სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების შემდგომი გაფართოებისათვის მიმდინარე წელს და შემდგომ პერიოდში. წელს გათვალისწინებულია 21 სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო-საკონსტრუქტორო თემის დამუშავება, რაზეც გამოყოფილია 280 ათასი მანეთი. ყველა თემაზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები სათანადო ინსტიტუტებთან და მიმდინარეობს მუშაობა. მათ შორის ყველაზე აქტუალურია ღარიბი მადნების გამდიდრების, სქელი ფენების დამუშავების რაციონალური მეთოდების შერჩევის, ახალი მანქანებისა და მექანიზმების შექმნის, ღარიბი მადნების მეტალურგიაში გამოყენების, შრომისა და უსაფრთხოების წესების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავებისა და სხვა საკითხები.

მეცნიერთა და მაღაროელთა ტრადიციული თანამეგობრობა მარგანეცის მრეწველობის შემდგომი განვითარების მტკიცე საფუძველს იძლევა. სწორედ ამიტომ ძლიერდება და ვითარდება იგი.

შ. აფაქიძე,
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი.

## ზესტაფონელი მეტალურგები ბულგარეთში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხანას ბევრი გამოცდილი, ნაწრთობი, მაღალკვალიფიციური მეტალურგი ჰყავს. მათ საფუძვლიანად იციან ლითონის დნობის ტექნოლოგია. ასეთ მეტალურგთა რიგებში არიან ქარხნის პირველი საამქროს მდნობელთა ბრიგადირი ს. ვერულაშვილი, მეოთხე საამქროს მდნობელთა ბრიგადების ხელმძღვანელები გ. კახნიაშვილი და ზ. ფირაძე. ისინი გამოირჩევიან მეტალურგიის საფუძვლების ცოდნით და მდიდარი საწარმოო გამოცდილებით.

ეს დახელოვნებული მეტალურგები ნახევარი წელია ბულგარეთში იმყოფებიან. ისინი კონსულტანტებად მიიწვიეს ერთ ახლადაგებულ მეტალურგიულ ქარხანაში. ქართველი მეტალურგების უშუალო მონაწილეობით ბულგარელმა მეგობრებმა აითვისეს სამი სადნობი ღუმელი. ახლა ქართველი და ბულგარელი მეტალურგები მეოთხე ღუმელის ათვისებაზე მუშაობენ. მათი დევიზია შრომა, მეგობრობა, მშვიდობა.

# მისაბაძი ინიციატივა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ცნობილია, რომ ჩაის კულტურისათვის წელს მეტად არახელსაყრელი ამინდია. მაგრამ მეჩაიეები არ უშინდებიან სიძნელეებს. ზუგდიდელმა მეჩაიეებმა წელს სამშობლოს უნდა მისცენ 28 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ზუგდიდელებმა მაის-ივნისში ვერ შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის დავალებები. ივლისში დარაზმეს მთელი ძალები და გეგმაც გადაჭარბებით შეასრულეს.

ახლა ასაღებია მორიგი ზღუდე. ეს გაითვალისწინეს რაიონის ლენინის ორდენოსანმა მეჩაიეებმა და მოწოდებით მიმართეს რაიონის ყველა მეჩაიეს. ისინი თავიანთ მიმართვაში წერენ:

**ზუგდიდელი მეჩაიეები მოუწოდებენ...**

— „საჭიროა სეზონის დამთავრებამდე დარჩენილი პერიოდი გამოვაცხადოთ დამკვრელურ დღეებად, შარშანდელთან შედარებით თვითეულმა ყოველდღიურად მოვკრიფოთ 5 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი. ახლა ვიდრე ოდესმე, მეტი შრომა მოგველის, რათა გამოვასწოროთ ჩამორჩენა. მხარში ამოვიყენოთ ოჯახის ყველა წევრი, პლანტაციაში გავიდეთ ადრე დილით და ვიმუშაოთ გვიან საღამომდე.

მუშებო და მოსამსახურეებო, პენსიონერებო და მოსწავლეებო! ამ დაძაბულ დღეებში თქვენგან ველით ტრადიციულ დახმარებას ჩვენი სიამაყის — ჩაის სახელისა და ღირსების დასაცავად. მექანიზატორებო! ყველაფერი გააკეთეთ ჩაის საკრეფი მანქანების მეტი წარმადობით მუშაობისათვის.

ჩვენი ვალია სრულ წესრიგში მოვიყვანოთ პლანტაციები, ზუსტად დავიცვათ კრეფის წესები, ბუჩქებზე არ დაგვრჩეს მოუკრეფავი არც ერთი კილოგრამი ხარისხოვანი დუყი. ჩვენ გვახსოვს უფრო დაძაბული და ჩაისათვის არახელსაყრელი დღეებიც, მაგრამ უკან არ დაგვიხევია, დავალებები გადაჭარბებით შეგვისრულებია. დავძლიოთ უამინდობით გამოწვეული სიძნელეები, ყველა რეზერვის ამოქმედებით უზრუნველვყოთ გეგმისა და ვალდებულებების შესრულება. მტკიცედ დავიცვათ ხარისხი!"

ამ მიმართვას ხელს აწერენ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **თამარ ჟუჟუნია**, რუხის გრიგოლ სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი **ვინარი სხულუხია**, ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი **გუგუშა ქიტანავა**, ინგირის კოლმეურნეობის მეჩაიე, ლენინის ორდენოსანი **გული ესებუა**, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი **სერგო აფხაზავა** და სხვები.

მიმართვას ფართოდ გამოეხმაურნენ რაიონის მეჩაიეები, მშრომლები. ამის შედეგად აგვისტოს პირველი დღეებიდანვე მკვეთრად გაიდიდა ჩაის ფოთლის კრეფის რაოდენობა, გაუმჯობესდა ხარისხიც.




# ფოტოსტენდებში გაცოცხლებული სახეები

შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად დმენისისა და აჩაბეთის კოლმეურნეობებში, ვანათის, ქსუისის საშუალო, დისევის 8-წლიან სკოლებში მოწყობილია ომში დაღუპულთა ფოტოსტენდები. ამგვარი ფოტოსტენდი ამ დღეებში მოეწყო ქსუისის კოლმეურნეობაშიც. აქ სპეციალურ დაფაზე გამოკიდებულია შინმოუსვლელების ვახტანგ ჯავახიშვილის, კუზმა დოგუზოვის, ქიმა ქოსიევის, იაშა ტოლიაშვილის, გიგო ასაევის და სხვათა პორტრეტები. მისასალმებელი იქნება, თუ ცხინვალის რაიონის დანარჩენი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სკოლები მოაწყობენ შინმოუსვლელთა ფოტოსტენდებს.

პ. ხაბალოვი,
პარტიის ცხინვალის რაიკომის ინსტრუქტორი.

## ეხმაურებიან წერილს „მანქანა თვითონ კი არ დადის"

# მექანიზებული რაზმის სიკეთე

### აი ასე ვიყენებთ მანქანებს

უკანასკნელ წლებში გორის რაიონი პირნათლად რომ ასრულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს, ამაში, რაიონის მშრომელებთან ერთად, თავიანთი წვლილი შეაქვთ „საქსოფლტექნიკის" გორის განყოფილების მექანიზატორებსაც. წარმატებათა მოპოვებაში გვეხმარება ის, რომ მანქანებს მეტი მზრუნველობით ვეკიდებით, ვუფრთხილდებით, სათანადოდ ვიყენებთ. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა თვით მექანიზატორებს ეკუთვნით. სავსებით ვიზიარებთ ნ. მისიუკოვის მოსაზრებას, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა" „პრავდიდან" გადმობეჭდა. მართლაც, მანქანა თვითონ კი არ დადის, მას ადამიანები მართავენ და თუ მექანიზატორი გულისყურით ეკიდება მინდობილ საქმეს, წარმატება უზრუნველყოფილია. ვილაპარაკოთ ჩვენი განყოფილების მაგალითზე.

1966 წელს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობაში პირობითი ტრაქტორის დატვირთვა ნაცვლად 310 ჰექტარისა 260 ჰექტარი იყო; ნაცვლად 4,60 მანეთისა ჰექტარი მიწის დამუშავება 5,38 მანეთი დაჯდა.

ამ მხრივ დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ ტყვიავის ზონის (ტყვიავის, მერეთის, კარბის, დიცის, მეღვრეკისის, ძევერის, ფლავის, ტირძნისის) კოლმეურნეობებსაც. პირობითი ტრაქტორის დატვირთვა ნაცვლად 242 ჰექტარისა 208 ჰექტარი იყო. ჰექტარი მიწის დამუშავების თვითღირებულებამ 4,15 მანეთის ნაცვლად 4,65 მანეთს მიაღწია, საწვავის ხარჯმა კი — 18 კილოგრამს.

1967 წელს ეს მონაცემები კიდევ უფრო გაუარესდა და პირობითი ტრაქტორის დატვირთვა წინა წელთან შედარებით 27 ჰექტარით შემცირდა, ჰექტარის დამუშავება კი 0,1 მანეთით გაძვირდა.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა განაპირობა მეურნეობათა განკარგულებაში არსებული იარაღ-მანქანების მოუვლელობამ და სარემონტო ვადების დარღვევამ, რაც იწვევს ავარიულ შემთხვევებს, საბაზისო კვანძებისა და დეტალების მწყობრიდან ნაადრევად გამოსვლას (ამიტომ რემონტის ღირებულების გაძვირებას და მეურნეობის ფულადი სახსრების ზედმეტ, გაუმართლებელ ხარჯვასაც აქვს ადგილი). ამის გამო მოხდა, რომ გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობა არ მიუღია მეურნეობათა 19 ტრაქტორს, 6 კომბაინსა და სხვა ტექნიკას, რომლის საბალანსო ღირებულება 64.890 მანეთია.

ტყვიავის ზონის კოლმეურნეობათა გამგეობებსა და „საქსოფლტექნიკის" გორის რაიონულ განყოფილებაში თანდათან მომწიფდა აზრი, რომ ამ მეურნეობებში მთელი მექანიზებული სამუშაოები ჩვენს სპეციალურ მექანიზებულ რაზმს საკუთარი ძალებით, საკუთარი ტექნიკით, ზემშინიკატებით, სპეციალისტებითა და მუშახელით ეწარმოებინა. ამასთანავე გადაწყდა, კოლმეურნეობებს „საქსოფლტექნიკის" გორის განყოფილებისათვის გადაეცათ მთელი ტექნიკა, რომლის ქირას მიიღებდა განყოფილებიდან დაწესებული სახელმწიფო შკალის მიხედვით.

ასე შეიქმნა სპეციალური მექანიზებული რაზმი, რომელიც ტყვიავის ზონის 8 კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას. მას სათავეში ჩავუყენეთ გამოცდილი სამეურნეო მუშაკი სერგო დავითიშვილი.

რაზმმა ვალდებულება იკისრა წინა წელთან შედარებით პირობითი ტრაქტორის დატვირთვა გაზარდოს 100 პირობითი ჰექტარით, ყოველი ჰექტარის დამუშავებაზე გეგმურთან შედარებით 4-5 კილოგრამით ნაკლები საწვავი დახარჯოს და ჰექტარის დასამუშავებელი ხარჯები 2 მანეთით შეამციროს.

კოლმეურნეობებიდან ქირით მიღებული ტექნიკა ახალი იარაღ-მანქანებით შევავსეთ, და ამჟამად სპეციალურ მექანიზებულ რაზმში 74 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 11 კომბაინი და 142 სხვადასხვა სახის იარაღ-მანქანა ირიცხება. რაზმი დაყოფილია ექვს ბრიგადად, რომლებსაც სათავეში გამოცდილი მექანიზატორები უდგანან. მას ემსახურება 98 ტრაქტორისტი, 12 ბრიგადირი და თანაშემწე.

კოლმეურნეობებსა და „საქსოფლტექნიკის" გორის განყოფილების სპეციალურ მექანიზებულ რაზმს შორის ფორმდება სათანადო ხელშეკრულება, რომელიც აწესებს ურთიერთვალდებულებებს. აქ გათვალისწინებულია როგორც შესრულებულ სამუშაოთა სახეები, ისე მათი მოცულობა, დაწყება-დამთავრების ვადები და ღირებულება. აქვე გათვალისწინებულია სამუშაოთა ჩაბარებისა და მიღების წესები და მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის დროს.

რაზმის პირველი საზრუნავი იყო სახნავი ტექნიკის რემონტი, რომელიც დროულად შესრულდა და მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, რაც ახალ წამოწყებას თან სდევს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებას დროულად შევუდექით. საქმეს ერთგვარად ართულებდა ის გარემოებაც, რომ კოლმეურნეობებმა წინა წელს მზრალად ხვნა მცირე ფართობზე აწარმოეს. ამის გამო საგაზაფხულო ხვნა დიდ ფართობზე გვიწევდა, ამას თან ერთვოდა წლევანდელი უხვნალექიანი ზამთარი. ამიტომ ჩვენი მექანიზატორები ხვნას ადრე დილიდან იწყებდნენ და შუაღამემდე ხნავდნენ, მანამდე, ვიდრე ხვნა შეიძლებოდა. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტრაქტორისტები მიხეილ სურამელი, ღვთისო გიგუაშვილი, სოგრატ თადიაშვილი, ნუგზარ კვარიანთაშვილი, იოსებ მაისურაძე და სხვები. ყველანი დღეში ნაცვლად 5,5 ჰექტარისა 7-8 ჰექტარს ხნავდნენ.

მუშაობაში აღებული მაღალი ტემპის შედეგად სპეციალური რაზმის მექანიზატორები ხვნა-თესვას დროულად მორჩნენ და 1.868-ის ნაცვლად 1.900 პირობითი ჰექტარი სამუშაო შეასრულეს.

განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყარით ვენახისა და ბაღის სამუშაოებს. რაზმმა ვალდებულება იკისრა ხილის ხარისხი შარშანდელთან შედარებით ათი პროცენტით გაზარდოს. ამიტომ კოლმეურნეობათა ბაღვენახის წამლობას მექანიზატორები მხოლოდ გარანტიით აწარმოებენ. ამ მიზნით რაზმის შტატი წელს შევავსეთ ორი ენტომოლოგით.

მართალია, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დაბალი ხარისხით წამლობის შემთხვევაში მისი ხელმეორედ წარმოება, მაგრამ ჩვენი მექანიზატორებისა და ენტომოლოგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. წამლობას მოვრჩით (7-ჯერ), შემკვეთის მხრივ არავითარი პრეტენზია არა გვსმენია. წამლობა შვიდჯერვე აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულდა, ასე რომ შემოდგომას გულდამშვიდებით ველით.

ნახევარი წლის გეგმით ხეხილის მექანიზებული წესით წამლობა 13.972 ჰექტარზე უნდა გვეწარმოებინა. ფაქტიურად ეს სამუშაო 14.502 ჰექტარზე შევასრულეთ. ჰექტარი ხეხილის წამლობა 1,17 მანეთით გავაიაფეთ და, თუ კოლმეურნეობას ეს სამუშაო სამ მანეთამდე უჯდებოდა, ჩვენ 1,83 მანეთი დაგვიჯდა. ამით უკვე მივიღეთ 17.138 მანეთი მოგება. რაზმი მარტო კოლმეურნეობების ხეხილის წამლობით არ დაკმაყოფილებულა და, როცა ამის საშუალება იყო, მოსახლეობის ხეხილსაც მკურნალობდა. ამ შესრულებულ სამუშაოსაც კოლმეურნეობის წარმომადგენლები იბარებენ სათანადო აქტით. ივნისის ბოლომდე შევწამლეთ მოსახლეობის 136 ჰექტარი ხეხილის ბაღი. ეს ღონისძიება, ჩვენი აზრით, გამართლებულია, რადგან ჩვენი მიზანია რაიონის ბაღებს მოვაცილოთ ყოველგვარი დაავადება, რომლის კერა ხშირად კოლმეურნეთა ბაღებია.



წლის პირველ ნახევარში ტყვიავის ზონის სპეციალურ მექანიზებულ რაზმს გეგმით 30.956 პირობითი ჰექტარი სამუშაოები უნდა შეესრულებინა. ფაქტიურად სამუშაოები შესრულდა 32.200 პირობით ჰექტარზე. ამასთან მიღწეულია პირობითი ჰექტარის დამუშავების გაიაფება 0,52 მანეთით. უნდა მოგვეხნა 6.067 ჰექტარი ბაღი და ვენახი (რაც რაიონის მთელი ბაღ-ვენახების 40 პროცენტს შეადგენს), ფაქტიურად მოიხნა 6.100 ჰექტარი. უნდა შეწამლულიყო 13.972 ჰექტარი ხეხილის ბაღები, შეიწამლა 14.108 ჰექტარი.

სპეციალური მექანიზებული რაზმის ჩამოყალიბებამ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შტატი მომატების ნაცვლად შეამცირა. თუ ზონის 8 კოლმეურნეობას მექანიზატორთა ბრიგადის, აღმრიცხველ-გამწყობის, მექანიკოსის ოცდათოთხმეტკაციანი შტატი ემსახურებოდა, ახლა ამ რაზმის 6 ბრიგადას თორმეტკაციანი შტატი ჰყოფნის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის დადებითი როლი, რაც რაზმის ჩამოყალიბებამ მექანიზატორების შრომის პირობებზე მოახდინა. ბოლო დროს შესამჩნევია მექანიზატორთა კადრების ნაკლებობა, რაც ძირითადად გამოწვეულია ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის დაბალი დონით, არასწორი ანაზღაურებითა და მატერიალური დაინტერესების უქონლობით. სულ სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ მექანიზებულ რაზმში, სადაც წლითიწლობით იზრდება მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება. მაგალითად, თუ 1965 წელს რაზმის თვითეულმა ტრაქტორისტმა თვეში საშუალოდ 91 მანეთი მიიღო, ხოლო 1966 წელს 96 მანეთი, შარშან ტრაქტორისტის გამომუშავება, პრემიებს გარდა, თვეში 120 მანეთამდე გადიდდა.

მატერიალურმა დაინტერესებამ მექანიზებულ რაზმში აამაღლა შრომის დისციპლინა, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, რასაც თავისთავად წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაკენ მივყავართ. ამიტომ არის, რომ რაიონის მექანიზატორთა უმეტესობას სპეციალური რაზმისაკენ მიუწევს გული.

ტყვიავის ზონის სპეციალური მექანიზებული რაზმის მუშაობის გამოცდილებამ გადაგვაწყვეტინა ასეთივე რაზმი შევქმნათ მეჯვრისხევის ზონაშიც. აუცილებელია, რომ ამ ახალ საქმეში მეტი დახმარება გაგვიწიოს „საქსოფლტექნიკამ" და პირველ რიგში გამოგვიყოს ამ რაზმისათვის საჭირო ტრანსპორტი და ტექნიკა.

გ. აბალაკი.
„საქსოფლტექნიკის" გორის განყოფილების მმართველი.

• • •

სურათზე: „საქსოფლტექნიკის" გორის განყოფილების ტყვიავის მექანიზებული რაზმის უფროსი ს. დავითიშვილი და მთავარი ენტომოლოგი ვ. გიგუაშვილი ამოწმებენ ტყვიავის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღებში წამლობის ხარისხს.

ფოტო შ. კაკულავასი.

კომუნისტი
მე-2 გვერდი, შაბათი, 6 აგვისტო, 1968 წ.

# საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები გვატყობინებენ

ქრონიკა • პრობლემები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოციალისტური ერთობა—მშვიდობის საწინდარი

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადებას, რომელიც ბრატისლავის თათბირის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ცენტრალური ადგილი უკავია უცხოეთის გაზეთების ფურცლებზე, საგენტოებისა და რადიოს გადაცემებში.

პრაღა. გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე დაბეჭდეს განცხადების ტექსტი. პრესაში ამასთანავე დაბეჭდილია ყველა ოფიციალური ცნობა ბრატისლავის თათბირის მიმდინარეობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ყველა დელეგაციამ გვირგვინებით შეამკო საბჭოთა განმათავისუფლებელი მეომრების ძეგლი სლავინის გორაზე.

სოფია. ბულგარეთის გაზეთები, რომლებმაც პირველ გვერდზე დაბეჭდეს განცხადების ტექსტი, ხაზს უსვამენ ამ დოკუმენტში გამოთქმულ მოძმე პარტიათა მისწრაფებას, რომ კვლავაც განამტკიცონ სოციალისტური თანამეგობრობის ერთობა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება.

ბუდაპეშტი. გაზეთი „ნეპსაბადშაგი" წერს, რომ ბრატისლავის თათბირის მოწვევა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის უდავო წარმატება იყო. „მადიარ ნემზეტი" აღნიშნავს, რომ თათბირი მარტო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა როდი იყო სოციალისტური ქვეყნების ცხოვრებაში. ექვსი მოძმე პარტიის განცხადება, ხაზს უსვამს გაზეთი, შეიცავს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უაღრესად მნიშვნელოვან დებულებებს. შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ თავიანთ ქვეყნებში განავითარონ და დაიცვან სოციალისტური მონაპოვრები, მოიპოვონ ახალი წარმატებები სოციალიზმის მშენებლობაში.

განცხადების ტექსტი დაბეჭდილია უნგრეთის ცენტრალური გაზეთების პირველ გვერდზე.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთებმა მსხვილი სათაურებით დაბეჭდეს განცხადების ტექსტი, ბრატისლაველი კორესპონდენტების ანგარიშები და ცნობები. მოლაპარაკება მიმდინარეობდა სრული გულახდილობის ატმოსფეროში, ამხანაგობისა და პრინციპულობის სულისკვეთებით, ხაზს უსვამს გაზეთი „ნოის დოიჩლანდი". „ერთიანი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელი როლი, სახელმწიფოთა სახალხო მეურნეობის სოციალისტური საფუძველი კვლავაც იქნება სოციალისტური ქვეყნების შეკავშირების, მათი მოქმედების ერთობის ქმედითი ფაქტორები საერთო მიზნისათვის ბრძოლაში", — წერს გაზეთი.

ბელგრადი. ბრატისლავის თათბირის შედეგები იუგოსლავიის პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთებმა მსხვილი სათაურებით დაბეჭდეს განცხადების ტექსტი.

„ბორბა" აღნიშნავს, რომ „მოლაპარაკება მიმდინარეობდა სრული გულახდილობის ატმოსფეროში". გაზეთი ხაზს უსვამს დასკვნითი დოკუმენტის დებულებას იმის შესახებ, რომ თითოეული მოძმე პარტია, შემოქმედებითად წყვეტს რა შემდგომი სოციალისტური განვითარების საკითხებს, ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებსა და პირობებს. „ბორბა" აღნიშნავს აგრეთვე ექვსი ქვეყნის მოძმე პარტიათა მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ კვლავაც მხარი დაუჭირონ გმირი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას და დაეხმარონ მას, ხაზს უსვამს მათ განზრახვას, რომ განამტკიცონ ევროპის უშიშროება და სოციალისტური ქვეყნების თავდაცვისუნარიანობა, აგრეთვე პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში.

პარიზი. „სრული თანხმობა ბრატისლავაში", — ასეთი სათაურით „ლუმანიტე — დიმანში" იუწყება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დამთავრებას. ამ ყოველკვირეულის საგარეოპოლიტიკური მიმომხილველი ივ მორო ხაზს უსვამს თათბირის მონაწილეთა მისწრაფებას განამტკიცონ ურთიერთობა სოციალიზმის პრინციპების საფუძველზე. ბრატისლავაში, წერს იგი, შეეხნენ სოციალისტურ მონაპოვართა დაცვას, სოციალიზმის ქვეყნების კავშირ-ურთიერთობის განმტკიცებას, ევროპის უშიშროებას.

„ლუმანიტე-დიმანში" წერს იმ რეაქციაზე, რომელიც რატუშის წინ შეკრებილმა ბრატისლავის მცხოვრებლებმა გამოიჩინეს დასკვნითი განცხადების საზეიმო ხელმოწერის მომენტში: „ეს იყო პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის შესანიშნავი დემონსტრაცია, რომელმაც ჩაიარა ლოზუნგებით: „გაუმარჯოს ჩეხებისა და სლოვაკების კავშირს", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს".

ლონდონი. ინგლისის საკვირაო გაზეთების გვიანი გამოშვებანი სასწრაფოდ გადააწყვეს და სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადების შესახებ დაწვრილებითი ცნობები პირველ გვერდზე დაბეჭდეს.

„სანდი ტაიმსი" განცხადებას „ისტორიულ დეკლარაციას" უწოდებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ჩეხოსლოვაკიის მხარემ ამ განცხადებასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების ძმური ურთიერთობისა და კომუნისტური პარტიების საერთაშორისო კავშირს ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

„ობსერვერი" ხაზს უსვამს იმ გულთბილობას, რითაც ბრატისლავის მცხოვრებლები შეხვდნენ თათბირის მონაწილე კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებს. (საკდესი).

## ბარბაროსული განზრახვა

### ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

**ჰანოი, 5 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უარყო თეთრი სახლის 1 აგვისტოს განცხადება, რომელიც ცდაა მოატყუოს საზოგადოებრივი აზრი და დაფაროს ფაქტი, რომ ძლიერდება აგრესიული ომი ვიეტნამის წინააღმდეგ.**

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადმოსცა, ნათქვამია, რომ პარიზის თითქმის სამი თვის ოფიციალური საუბრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ დაჟინებით აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სავსებით შეწყვეტს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვას მხოლოდ მაშინ, როცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა განახორციელებს „თავშეკავების" ღონისძიებებს.

ამერიკის შეერთებული შტატები მიმართავს სხვა მანევრებსაც, რათა თავი აარიდოს პარიზის საუბრების მთავარი საკითხის მოწესრიგებას და ხელი შეუშალოს ამ საუბრების პროგრესს.

ამასობაში კი ივლისის დამლევს ჰონოლულუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა არაორაზროვნად გამოამჟღავნა თავისი განზრახვა გააძლიეროს აგრესიული ომი ვიეტნამში და შეეცადოს დარჩეს სამხრეთ ვიეტნამში.

**ამერიკის შეერთებული შტატები, აღნიშნულია განცხადებაში, აძლიერებს ომს ვიეტნამის ორივე ნაწილში. ჩრდილოეთ ვიეტნამში იგი კვლავ ბარბაროსულად ესხმის თავს მის მნიშვნელოვან ნაწილს. სამხრეთ ვიეტნამში გადაჰყავთ სულ ახალ-ახალი ამერიკის ჯარები და სატელიტი ქვეყნების ჯარები.** თხიეუ-კის მარიონეტული ხროვა ცდილობს განახორციელოს „საყოველთაო მობილიზაცია", რათა არმიაში გაიწვიოს სამხრეთ ვიეტნამის ახალგაზრდობა და გადააქციოს იგი ამერიკის შეერთებული შტატების საზარბაზნე ხორცად.

**ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ პარიზის საუბრებში არ არის პროგრესი.**

## მდგომარეობა ბრაზავილის კონგოში

ნიუ-იორკი, 4 აგვისტო. (საკდესი). ბრაზავილის რადიომ გადმოსცა, რომ პრეზიდენტი მასამბა-დება დღეს დილით დაბრუნდა პრეზიდენტის სასახლეში და თავმჯდომარეობდა ბრაზავილის კონგოს მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომას, გვატყობინებს იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს კინშასელი კორესპონდენტი.

როგორც ბრაზავილის რადიომ გადმოსცა, კაბინეტმა მაშინვე წარუდგინა პრეზიდენტს განცხადება გადადგომის შესახებ, „ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ეს ჟესტი დაეხმარება სახელმწიფოს მეთაურს მოაწესრიგოს ახლანდელი კრიზისი ბრაზავილის კონგოში".

კაბინეტის ეს გადაწყვეტილება რადიოთი გამოაცხადა შრომისა და იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ფრანსუა მაკოსომ.

პარიზი, 4 აგვისტო. (საკდესი). „ამჟამად ბრაზავილში იქმნება ახალი მთავრობა პრეზიდენტ მასამბა-დებას მეთაურობით, რომელიც დათანხმდა არმიის მოწოდებას კვლავ ხელთ აეღო სახელმწიფოს მართვა", გადმოსცა დღეს ბრაზავილის რადიომ.

## თავხედური პროვოკაცია

კაირო, 4 აგვისტო. (საკდესი). ისრაელმა აგრესორებმა კვლავ განახორციელეს დიდი პროვოკაცია იორდანიის წინააღმდეგ. ამანის რადიომ დღეს ნაშუადღევს შეწყვიტა გადაცემები, რათა გამოეცხადებინა, რომ ისრაელის ავიაგამანადგურებელი—ბომბდამშენები თავს დაესხნენ ქალაქ ას-სალტის რაიონს იორდანიის ტერიტორიის სიღრმეში.

ას-სალტიდან დასავლეთით და სამხრეთით მდებარე რაიონების დაბომბვა ისრაელის ავიაციამ დაიწყო 13 საათზე ადგილობრივი დროით და განაგრძობდა იმ დროს, როცა რადიოთი განცხადებას აკეთებდა იორდანიის არმიის სამხედრო წარმომადგენელი.

იორდანიის წინააღმდეგ ისრაელის მხედრიონის ახალი პროვოკაციული აქცია, აღნიშნავენ ამანში, მოჰყვა ისრაელ ლიდერთა, კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრის აბა ებანის, შოვინისტურ განცხადებებს, რომელიც ემუქრებოდა იორდანიას.

ამანი, 5 აგვისტო. (საკდესი). **5 კაცი, მათ შორის 1 ბავშვი და 2 ქალი დაიხოცა და 20 კაცი დაშავდა იორდანიის ქალაქ ას-სალტის რაიონზე ისრაელის ავიაციის გუშინდელი ბარბაროსული თავდასხმის შედეგად.**

როგორც იორდანიის სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, ისრაელის ავიაგამანადგურებლები 3 საათზე მეტი ხნის განმავლობაში ბომბავდნენ და რაკეტებს უშენდნენ ამ პატარა ქალაქის მიდამოებს, რომელიც ამანის დასავლეთით მდებარეობს.

მსოფლიო ფესტივალზე

## გიზგიზებს ფესტივალის წირაღდანი

**სოფია, 4 აგვისტო. (საკდესი).** საბჭოთა კულტურულ ცენტრში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. ჩვენმა ქალიშვილებმა ფრანგებს მიართვეს პურ-მარილი — სტუმართმოყვარეობის ტრადიციული რუსული სიმბოლო.

სრულიად საკავშირო ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტიაჟელნიკოვმა თქვა: „**სიყვარულით და ყურადღებით ვეკიდებით სახელოვან ფრანგ ხალხს, რომელმაც მსოფლიოს მისცა რევოლუციონერთა, გამოჩენილ მეცნიერთა, ხელოვნების მოღვაწეთა შესანიშნავი პლეადა**".

საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ფრანსუა ილსომმა აღნიშნა, რომ ახლა საბჭოთა ახალგაზრდობისადმი სიმპათიითაა გამსჭვალული ფრანგი ქალიშვილებისა და ჭაბუკების უმრავლესობა.

დასასრულს შეხვედრის მონაწილეებმა შეასრულეს „ინტერნაციონალი".

„**ისრაელ** აგრესორებს დავატოვებინებთ მიწებს, რომლებიც მიიტაცა", — განაცხადა არაბეთის სოციალისტური ახალგაზრდული ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მუფიტ შიხაბმა საბჭოთა და არაბი ახალგაზრდობის მეგობრობის მიტინგზე გამოსვლისას. რამდენიმე ასეული ქალიშვილი და ჭაბუკი შეიკრიბა საბჭოთა კლუბში.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვას გამოსვლას. მან ილაპარაკა საბჭოთა და არაბი ახალგაზრდობის დიდ მეგობრობაზე.

მუფიტ შიხაბმა საბჭოთა კავშირის დელეგაციის გადასცა დროშა და სამახსოვრო საჩუქრები.

**ახალგაზრდობის** ფესტივალზე დასასვენებელი დღეები არ არის. კვირას, 4 აგვისტოს მსოფლიოს ახალგაზრდებმა მოაწყვეს „ადამიანის უფლებათა დაცვის დღე". დილიდან დაიწყო მასობრივი ასვლა ვიტოშის მთაზე (სოფიის მახლობლად). დელეგატები ავიდნენ „შავ მწვერვალზე" და იქ მიტინგი მოაწყვეს.

სოფიის უნივერსიტეტის უდიდეს დარბაზ-აუდიტორიაში მგზნებარედ ისმოდა ახალგაზრდა ორატორთა ხმები მიტინგზე, რომლის დევიზი იყო „თავისუფლება პროგრესულ პოლიტიკურ პატიმრებს".

დელეგატთა დიდი ინტერესი გამოიწვია პროგრამით გათვალისწინებულმა კონფერენციამ „ახალგაზრდობის უფლებების დასაცავად".

## ფესტივალის პრიზიორები

**5 აგვისტოს** საღამოს დამთავრდა სოფიაში მევიოლინეთა კონკურსი. **ოქროს მედლები მიენიჭათ ტატიანა გრინდენკოსა და რასმა ლიელმანეს** (სსრ კავშირი) და მათს ბულგარელ კოლეგებს **მინჩო მინჩევსა და ვასილ დიმიტროვს**. აი კიდევ კონკურსის ტრიუმფატორები — **მარიამ მასალახი და არო ბოგდანიანი** (სსრ კავშირი). ამ სახეობის შემოქმედებითს შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არიან უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, იაპონიის წარმომადგენლები და ფესტივალის მასპინძლები.

**ცნობილი** გახდა ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებელთა სახელები. პირველი პრიზიორები კვლავ არიან საბჭოთა მსახიობები **ბახტიარ იულაშევი, იური დემჩუკი, ალექსანდრა ფედოტოვა, სოფიო როტარი, მათ მიიღეს ოქროს მედლები.** ასეთივე ჯილდოები მიიღეს ბულგარელმა, მონღოლმა და ინდოელმა მსახიობებმა.

**ფოლკლორის** ჯგუფში ოქროს მედალი მოიპოვეს ბელორუსიის კვარტეტმა და სამმა ბულგარულმა კოლექტივმა. **ხალხური სიმღერების შემსრულებელი ანსამბლების ჯგუფში საუკეთესოდ ცნეს ჩვენი კოლექტივები „ვორონეჟელი ქალიშვილები" და „გორდელა"**. გაიმარჯვა აგრეთვე სტუდენტთა ვოკალურმა ანსამბლმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

**ფესტივალზე** ნაჩვენები იყო ნორჩ მხატვართა ნამუშევრები. მინიჭებულია 75 მედალი და 60 საპატიო სიგელი. თემაზე „ვიეტნამი" საუკეთესოდ აღიარებულია 12 წლის ბულგარელი მოსწავლის **დიმიტრ ვანკოვის** ნამუშევარი. თემაზე „მშვიდობა" პირველობა აიღო შვიდი წლის **დერბემ ტილენმა** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

**ახალგაზრდა** საბჭოთა პიანისტს **ვლადიმერ ბუნინს მიენიჭა ოქროს მედალი და ფესტივალის დიდი ჯილდო „ორფევსი"** პიანისტთა კონკურსზე.

## რევანშისტები აქტიურდებიან

**ბერლინი,** 4 აგვისტო. (საკდესი). **დღეს ქალაქ ლუბეკში (დასავლეთი გერმანია) გაიმართა დასავლეთ გერმანიის რევანშისტული ორგანიზაციის — „პომერანიელ გერმანელთა სათვისტომოს" მორიგი თავყრილობა. როგორც ამ ქალაქიდან იტყობინება ადნის სააგენტოს კორესპონდენტი, თავიანთი შეკრება, რომელშიც ათასამდე კაცი მონაწილეობდა, რევანშისტებმა მოაწყვეს იმ ლოზუნგებით, რომ არ ცნობენ ოდერ-ნოიეს საზღვარს და მხარს უჭერენ ნეონაცისტებს.**

თავყრილობაზე მთავარი ორატორი იყო „პომერანიელ გერმანელთა სათვისტომოს" თავმჯდომარე ეგერტი. მთელი მისი სიტყვა გამსჭვალული იყო რევანშისტული და ნეონაცისტური სულისკვეთებით. „შტეტინი (მხედველობაშია პოლონური ქალაქი შჩეცინი. საკდესის შენიშვნა) კვლავ გერმანელების იქნება!" — გაჰყვიროდა რევანშისტი ორატორი.

თავყრილობის მონაწილეთა მოწონების შეძახილებში მან ბონის ბუნდესტაგსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველ პარტიებს მოუწოდა არასოდეს არ ცნონ ოდერ-ნოისეს საზღვარი. ეგერტის განცხადებებიდან ჩანს, რომ „პომერანიელ გერმანელთა სათვისტომოს" ხელმძღვანელებმა უკვე შეადგინეს სიები, რომლებშიც შეტანილი არიან ევროპის ახლანდელი მდგომარეობის ცნობისათვის მებრძოლი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. იგი იმუქრებოდა, რომ უახლოეს ხანში გააჩაღებენ კამპანიას ამ პირთა წინააღმდეგ. რევანშისტთა ლიდერმა აქვე განაცხადა, რომ მისი „სათვისტომო" სავსებით დაუჭერს მხარს ნეონაცისტურ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას ბუნდესტაგის არჩევნებში მომავალი წლის შემოდგომაზე.

„პომერანიელ გერმანელთა სათვისტომოს" თავმჯდომარის სიტყვის დასკვნით ნაწილში იყო ღვარძლიანი გამოხდომები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეგერტს აშკარად რევანშისტული გრძნობები მოჰქონდა და მოითხოვდა, რომ დასავლეთი ბერლინი გადააქციონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ასპარეზად.

## რესპუბლიკელები არჩევნების წინ

მაიამი-ბიჩი, 5 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ო. ანიჩკინი და ჰ. ფრიმენი იტყობინებიან:

რესპუბლიკური პარტიის მოსამზადებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა წინასაარჩევნო პროგრამის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება ყრილობას.

ცდილობენ რა მიიმხრონ ამომრჩევლები, პროგრამის ავტორები გაურბიან გოლდუოტერთა ლოზუნგების განმეორებას, რომლებმაც რესპუბლიკელთა დიდი დამარცხება გამოიწვია 1964 წელს, და მთელ პასუხისმგებლობას ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი ახლანდელი სოციალური და პოლიტიკური კრიზისისათვის აკისრებენ მმართველ დემოკრატიულ პარტიას.

წინასაარჩევნო პროგრამა შეიცავს დამახასიათებელ აღიარებას: „ამერიკელი ხალხი შეშფოთებულია, ათიათასობით ახალგაზრდა ამერიკელი იღუპება ან სახიჩრდება ვიეტნამში, ბევრი ახალგაზრდა ამერიკელი რწმენას კარგავს ამერიკის საზოგადოებისადმი, ამერიკის ქალაქები ადამიანთა სასოწარკვეთის ცენტრები ხდება, მილიონობით ამერიკელი სიღატაკეში ცხოვრობს, იღებს სავსებით არასაკმარის განათლებას, არა აქვს და არ შეუძლია მიიღოს რიგიანი ბინა, ინფლაციამ შეარყია დოლარისადმი ნდობა".

მაგრამ რესპუბლიკელები არ სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ყველა ამ სოციალურ უბედურებისაგან ამერიკელი საზოგადოების გადარჩენისათვის.

პროგრამა შეიცავს ცდებს გამონახოს კომპრომისული გზები პარტიის მემარჯვენე და ზომიერ წრეებს შორის, ამასთანავე პროგრამაში ჩანს გოლდუოტერიზმის აშკარა კვალი.

რესპუბლიკელთა წინასაარჩევნო პროგრამა, თუმცა შეიცავს მთავრობის კრიტიკას და აღიარებს ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალ-პოლიტიკური კრიზისის არსებობას, ვერ სახავს ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრის რეალურ გზებს.





## ფოტოქრონი

● **სირიის რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს არაბეთის ქვეყნებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის როგორც სპეციალისტებით, ასევე სხვადასხვა პროექტების შექმნით. სირიის ქალაქ ხომსში შენდება აზოტოვანი სასუქების მსხვილი ქარხანა, რომლის პროექტი საბჭოთა კავშირშია დამუშავებული. სურათზე: ხომსის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლობაზე.**

● **მალავის რესპუბლიკა აფრიკის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული. 1964 წლის ივლისამდე მალავი ინგლისის პროტექტორატი ნიასალენდი იყო. სურათზე თქვენ ხედავთ მონუმენტს, რომელიც აგებულ იქნა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად.**



● **ნეონის რეკლამები, ბრჭყვიალა ვიტრინები, ყოველგვარი მარკის ლიმუზინების ხმაურიანი ნაკადი — ერთი შეხედვით ასეთი გეჩვენებათ ჰონკონგი, ცათამბჯენებისა და მდიდარი ავენიუების ქალაქი. ასეთია ეს ქალაქი მათთვის, ვინც აქ ოკეანეს გაღმიდან ჩამოდის მდიდარი სატურისტო კანტორების საგზურებით.**

**მაგრამ ყურადღებით დააკვირდით ქალაქს. ცათამბჯენების ფონზე გაიელვა რიკშის მოხრილმა ფიგურამ. ელეგანტური „ბიუკებისა" და „შევროლეების" ფონზე ქუჩაში გაჩხერილა მზიდავის ურიკა, აქვე არიან ძველმანების გამყიდველები, მოხეტიალენი... და ისევ რიკშები. აღარ გიკვირს ყველაფერი ეს, როდესაც გაიგებ, რომ ბევრნი ამ ქალაქში ერთი ფინჯანი ბრინჯის ფასად მუშაობენ მთელ დღეს.**

**ასეთია დღეს XX საუკუნის ჰონკონგი, ძველი ინგლისური კოლონია.**

ფოტოები — ახალი ამბების სააგენტოსი და საკდესის ფოტოქრონიკისა.

●

## სიცხე იაპონიაში

**ტოკიო,** 5 აგვისტო. (საკდესი). ძლიერი სიცხის (30 გრადუსზე მეტი ჩრდილში), გამო გუშინ ზღვას მიაშურა მილიონობით ტოკიოელმა. წყნარი ოკეანის სანაპიროს პლაჟებზე დედაქალაქთან ახლომდებარე კანაგავისა და ტიბის პრეფექტურებში აღრიცხულია ბოლო წლების მანძილზე დამსვენებელთა რეკორდული რიცხვი. ორ მილიონზე მეტი მობანავე ჩავიდა კამაკურის რაიონში და ენოსიმის კუნძულზე. მილიონზე მეტმა კაცმა მიაშურა წყნარ ოკეანის ტიბის პრეფექტურაში.

მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა იაპონიის საშველი სამსახური წყალზე, რომელშიც დიდძალ კატარღებთან და საშველ ნავებთან ერთად თვითმფრინავებიც და ვერტმფრენებიც შედის, გუშინდელი ცხელი დღე რეკორდული იყო ტრაგიკული შემთხვევების რიცხვითაც. მთავარი პოლიციური სამმართველოს მონაცემებით, განვლილ კვირა დღეს დაიხრჩო 81 და უკვალოდ დაიკარგა 25 კაცი.

## მხოლოდ ფაქტები

● **დუვრი.** (საკდესი). წყალქვეშა ფრთიანი საბჭოთა საზღვაო თბომავალი „კომეტა" შემოვიდა ინგლისის დუვრის ნავსადგურში.

ინგლისში „კომეტა" ექსპონირებული იქნება ამ უკანასკნელი წლების ყველაზე დიდ საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე, რომელიც 6 აგვისტოს იხსნება ლონდონში. „კომეტა" გათვალისწინებულია ასი მგზავრისათვის და საათში 75 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს.

● **დელი.** (საკდესი). ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილებით ინდოელი კინემატოგრაფისტები მონაწილეობას მიიღებენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ტაშკენტის საერთაშორისო კინოფესტივალში.

როგორც გაზეთი „პეტრიოტი" წერს, ეს გადაწყვეტილება გამოაცხადეს ინდოეთის ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის სამინისტროს წარმომადგენელთა და ამჟამად დელში მყოფი საბჭოთა კინომუშაკების დელეგაციის შეხვედრის დროს.

● **ნიუ-იორკი.** (საკდესი). ცხენოსანმა პოლიციამ გარეკა ორი მასობრივი დემონსტრაცია, რომლებიც ნიუ-იორკის სხვადასხვა რაიონში გაიმართა. დემონსტრაციათა მონაწილენი მოითხოვდნენ ვიეტნამის ომის შეწყვეტას.

20-ზე მეტი დემონსტრანტი დააპატიმრეს.

ამერიკა ფრანგის თვალით

## ორი ამერიკა

### ჟან-მორის ერმანი, ფრანგი ჟურნალისტი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ორმა ფრანგმა პარიზის ჟურნალისტთა მოსამზადებელი ცენტრიდან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ცენტრი, რომელსაც საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთების მფლობელნი მეურვეობენ, ბურჟუაზიული პრესისათვის პროფესიულ კადრებს ამზადებს.

ერთი ამ ფრანგთაგანი მიიწვია „პრესის საერთაშორისო ინსტიტუტმა", რომელიც რეაქციულმა ამერიკულმა ჟურნალმა „რიდერს დაიჯესტმა" დააარსა და ამერიკის მსხვილ მონოპოლიებზეა დამოკიდებული. მეორემ მიწვევა მიიღო სახელმწიფო დეპარტამენტისაგან. ერთი სიტყვით, ორივე სტუმარი მასპინძლების დიდი ნდობით სარგებლობდა. ისინი გაემგზავრნენ ენთუზიაზმით აღსავსენი, ფართოდ გახელილი თვალებით, ბლოკნოტით ხელში...

როგორილაა ის შთაბეჭდილებები, რაც მათ მიიღეს შეერთებულ შტატებში მოგზაურობისა და ამერიკელებთან ახლოს შეხვედრისა და საუბრების შემდეგ? ამ შთაბეჭდილებათა არსი გამოთქმულია ცენტრის ბიულეტენის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში.

აი, მაგალითად, ლორან შენარი. მან ბევრი რამ ნახა და ბევრსაც ესაუბრა. ჟურნალისტმა შეძლო შეექმნა სრული წარმოდგენა „ცხოვრების ამერიკულ წესზე". იგი არცთუ ოპტიმისტურია. „გამაოცა ამერიკელთა ღრმა აპათიამ, პოლიტიკური ამბებისადმი გულგრილობამ, რასაც მართალი ინფორმაციის ნაკლებობა ან მათი დამახინჯება ბადებს. საშუალო ამერიკელმა ძალზე ცოტა იცის საზღვარგარეთის ამბების შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს არ აინტერესებდეს. ამერიკელის სულიერი სამყარო მოქცეულია შოვინიზმის ოფიციალური პოლიტიკის ჩარჩოებში, რომელშიც ჩაქსოვილია ადგილობრივი ნაციონალიზმი. მას შთააგონებენ, რომ ცხოვრების ამერიკული წესი თანამედროვე სამყაროს ყველა სატკივრის წამალია".

„ინფორმაციის უქონლობა", „ცრუინფორმაცია", „უხეშობა", „გულგრილობა გარე სამყაროსადმი" — ფრანგი ჟურნალისტის ასეთი მსჯელობა საკმაოდ მკაცრია, მაგრამ იგი ფართოდ არის დასაბუთებული.

სწორედ ასეთია მდგომარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, და სწორედ იგი უწყობს ხელს იმას, რომ ამერიკის მთავრობას უკვე მრავალი წელია ისეთი პოლიტიკური კურსი აქვს, რომელიც სავსეა საშიში შედეგებით. სწორედ ასეთ გარემოში მახინჯდება „პრესის თავისუფლების" კონცეპცია, და საინფორმაციო სამსახურს მხოლოდ მმართველი კლასის ინტერესების, ე. ი. სამრეწველო და ფინანსური კაპიტალის ინტერესების დასაცავად იყენებენ. რა აზრი შეიძლება ჰქონდეს იდეას, თვით „დემოკრატიის" ცნებას ისეთ პირობებში, როდესაც ამერიკელთა უმრავლესობას არ ძალუძს გაერკვეს პრობლემებში, რომლებზეც დამოკიდებულია მათი ბედი და ქვეყნის მომავალი?..

ჟერარ კარეირონი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის მიწვევით ექვსი კვირის მანძილზე სწავლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებას, არანაკლებ გაოცებული დაბრუნდა. მოდით სიტყვა თვითონ მას მივცეთ: ოცდახუთი ათასი კილომეტრი, ჩვიდმეტი მსხვილი ქალაქი, ასობით შეხვედრა, ხშირად მომქანცველი, მაგრამ საინტერესო. და აი მხოლოდ რამდენიმე სახე ადამიანების პორტრეტთა ამ გალერეიდან.

არტური, ახალგაზრდა ენერგიული ზანგი სტუდენტი, ზანგთა მოძრაობის აქტივისტი. მას მალე „ცხელი ზაფხულის" მხურვალე დღეების შემდეგ ვესაუბრე. შესახვევში, სადაც ერთმანეთს შევხვდით, ვიტრინები ჯერ კიდევ ჩამსხვრეული იყო, რკინა და აგური გორებად იდგა, ხოლო გამვლელთა მკაცრი სახეები ნათლად მეტყველებდნენ სულ ახლახან ჩამცხრალი სიძულვილის ქარიშხლის სიძლიერეზე...

აი მეორე პორტრეტი — კუ-კლუს-კლანელი „დრაკონი" ლუიზიანიდან, ჩემთან შესახვედრად სპეციალურად რომ ჩაიცვა შიშისმომგვრელი ბალახონი. გონებაჩლუნგი ბავშვივით აღტაცებული მიჩვენებდა „ორიგინალურ" პრესპაპიეს—მინის კოლბაში სპირტში ჩადებულ „ვიეტკონგოელის" (ასე უწოდებენ ამერიკელები სამხრეთ ვიეტნამის თავისუფლებისათვის მებრძოლებს) ყურს.

და, ბოლოს, ახალი ორლეანის საოლქო პროკურორი ჯიმ გარისონი, კაცი, რომელიც ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე, თუ რა მოხდა ბოლოს და ბოლოს დალასში 1963 წლის ნოემბრის ერთ-ერთ დღეს? ვუსმენდი მას და ვფიქრობდი, რომ ამის პასუხი ხომ არ იყო რამდენიმე დღით ადრე ჰიუსტონში (ტეხასის შტატი) ერთ-ერთი მილიარდერის ქალიშვილმა ყურში რომ ჩამჩურჩულა: „მთავარია, რომ მამასთან კენედის სახელი არ წამოგცდეთ — მისთვის ეს სალანძღავ სიტყვად ჟღერს"...

გაქონიანებული „ჰიპებიდან" კორპორაცია „ფორდ-მოტორსის" სუფთად პირგაპარსულ ვიცე-პრეზიდენტამდე, ჩიკაგოს ვესტ-საიდის რაიონიდან, სადაც ზანგმა ბავშვებმა კარგად იციან, თუ რა მწარეა ვირთაგვის ნაკბენი, მიჩიგანის ტბის ფეშენებლურ ნაპირებამდე — ყველგან ვხვდებოდი ორ პარალელურად მიმავალ ამერიკას. და ჩემს თავს ვეკითხებოდი: შეხვდებიან თუ არა ისინი ოდესმე ერთმანეთს?..

ორი პარალელური ამერიკა... დიახ, სწორედ ასეთია ამერიკა! და განა ეს არ არის კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც გაცხარებით უარყოფენ ვაშინგტონელი პოლიტიკოსები, პენტაგონელი გენერლები, ჰერსტის გაზეთები და ვიეტნამელთა ყურების კოლექციონერები!



# პირველი სალუტი

## არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო მოგვითხრობს, როგორ იშვა მხედრული ტრადიცია კურსკის რკალზე ბრძოლების შემდეგ



**არმიის გენერალი სერგეი მათეს-ძე შტემენკო** დიდი სამამულო ომის დროს სათავეში ედგა ოპერატიულ სამმართველოს გენერალურ შტაბში. ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა მისი მოგონებების წიგნი „გენერალური შტაბი ომის დროს". წიგნის მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ თვალი გაადევნონ ომის მსვლელობას ახალი, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი პოზიციიდან. ეს წიგნი უკვე თარგმნილია ქართულ ენაზე და მას მალე მიიღებენ ჩვენი მკითხველებიც. წიგნს სცემს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

უკანასკნელ თავში გენერალი მოგვითხრობს, ორიოლისა და ბელგოროდის აღების შემდეგ როგორ იშვა სამხედრო გამარჯვებათა სალუტით აღნიშვნის ტრადიცია. **ოცდახუთი წლის წინათ, ორმოცდასამი წლის 5 აგვისტოს, მოსკოვმა თავის ცაში პირველად აანთო გამარჯვების ცეცხლი.**

**ს. შტემენკო კვლავ მსახურობს გენერალურ შტაბში. ამ დღეებში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტები იყვნენ მასთან და სთხოვეს უფრო დაწვრილებით ეამბნა პირველი სალუტების შესახებ. ვბეჭდავთ ამ საუბრის შინაარსს.**

— **იმის** გასაგებად, თუ როგორი იყო ეს დღესასწაული ჩვენს ქუჩაზე, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მანამდელი მძიმე დღეების მწარე ამბები. გენერალური შტაბის დიდ რუკაზე, რომელზეც ფრონტებთან დაკავშირების შემდეგ დღეში ორჯერ შეგვქონდა შესწორებანი, ბრძოლების ხაზი იკლაკნებოდა, განუწყვეტლივ მოიწევდა ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. დადგა მომენტი, როცა წითელი ფანქარი ძლიერ უნდა წაგვესვა, რათა ფრონტის ხაზების გავლებისას არ შევხებოდით წრეს, რომელსაც ჰქონდა წარწერა **მოსკოვი.** იმ დღეებში შტაბის მანქანები მოწინავე ხაზამდე ერთ საათში მიდიოდნენ. გერმანელებმა უკვე მოაგორეს მძიმე ზარბაზნების ბატარია, რომ ცეცხლი დაეშინათ კრემლისათვის. მუდმივი საჰაერო განგაშის გამო გენერალური შტაბი იმ დღეებში მეტროში გადასახლდა. მატარებლებისაგან, იქ რომ მიმოდიოდნენ, გვყოფდა ფანერის ტიხარი. შემდეგ შტაბი გადავიდა მეტრო „კიროვსკაიას" ახლოს მდგომ სახლში. იქვე ეზოში იდგა უმაღლესი მთავარსარდლისათვის განკუთვნილი პატარა ფლიგელი. მაგრამ სტალინი იქ, ვგონებ, მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა. მოხსენებისათვის მასთან ღამეობით მივდიოდით კრემლში და თან რუკებით სავსე მოზრდილი პორტფელი მიგვქონდა.

მწარე დრო იყო. ფრონტებიდან მოდიოდა მოთხოვნები: იარაღი მოგვაწოდეთ! ზოგან შაშხანებიც კი არა ჰქონდათ. უმაღლესი მთავარსარდალი თვითონ ცალობით უნაწილებდა ფრონტებს ტანკსაწინააღმდეგო თოფებს, ნაღმსატყორცნებს, ტანკებს. იმ დღეებში ის ძლიერ გახდა. ნაყვავილარი სახე დაღლილი, მიწისფერი ჰქონდა. მაგრამ უმაღლესი მთავარსარდალი მუდამ დინჯი და უშფოთველი იყო... ყველასათვის ცნობილმა პარადმა წითელ მოედანზე 41 წლის შემოდგომაზე, ვფიქრობ, ეს რწმენა მილიონობით ადამიანს გადასცა. არასოდეს არ დამავიწყდება ეს არაჩვეულებრივი პარადი! ფრონტი 30 კილომეტრზე გადიოდა წითელი მოედნიდან. ჩვენთვის ცნობილი იყო: გერმანიაში უკვე შეკერეს სადღესასწაულო მუნდირები, დედაქალაქის სადღაც შორიახლოს დაბინავებული იყო ბერლინის უზარმაზარი ორკესტრი მოსკოვში პარადისათვის. ჰიტლერი უხვად ურიგებდა თავის გენერლებს საუკეთესო მიწებს დაპყრობილ ტერიტორიებზე. და ერთბაშად ჩვენი ეს ტრადიციული პარადი. ახლა, ომის ყველა ამბავს საერთო წყებაში რომ განვიხილავთ, ამ პარადს შეიძლება იმ პირველი სალუტების წინამორბედი ეწოდოს, რომლებზეც თქვენ მეკითხებით.

**— სერგეი მათეს-ძევ, როგორ გამოიყურებოდა მოსკოვი იმ დღეებში?**

— დიახ, ამაზე აუცილებელია ითქვას. ღამეობით ქალაქი ჩაბნელებული და მდუმარე იყო — მხოლოდ იშვიათად გაივლიდნენ პატრულები. არავითარი შუქი არ ჩანდა. შუქშენიღბვას მეტად მკაცრად ადევნებდნენ თვალს. ფანჯარაში ოდნავი ჰუჰრუტანა რომ გამოჩენილიყო, სპეციალური პატრული ავიდოდა ბინაში და წესრიგს დაამყარებდა. მახსოვს ერთი თავდასხმა. გაისმის საზენიტო ქვემეხების სროლის ხმა, პროჟექტორების ლურჯი სვეტები ცას ებჯინება. და გენერალური შტაბის თითქმის გვერდით გაკაშკაშებული ფანჯარაა. ალბათ ვინმე დოყლაპიას დაავიწყდა ფარდის ჩამოფარება. პატრულმა იქვე დაამყარა წესრიგი. მკაცრი დრო იყო. სპეციალური თვითმფრინავი აფრინდებოდა ხოლმე, რომ ზემოდან შეემოწმებინა, კარგად ჰქონდა თუ არა ქალაქს მიმალული თავისი შუქი. რაიმე სალუტი მაშინ ფიქრადაც არავის მოსდიოდა.

**— გვითხარით ორიოდე სიტყვა გენერალური შტაბის მუშაობაზე...**

— ორიოდე სიტყვით რა შეიძლება ითქვას... გენერალური შტაბი და მთავარბანაკი ომის ტვინი იყვნენ. ყოველდღიური კავშირი ფრონტებთან, ყველა მოთხოვნილების გათვალისწინება, ზურგთან ურთიერთობა, ოპერაციების დამუშავება, დაზვერვის ცნობების ანალიზი, ჩვენი ნაწილების მოქმედების კოორდინაცია, ფრონტზე გამგზავრება... ვმუშაობდით ძალების უკიდურესი დაძაბვით. ყოველდღე (ზოგჯერ კი დღეში ორჯერაც) მოხსენებით წარდგომა უმაღლეს მთავარსარდალთან. გარდა ამისა, თვითონაც შეეძლო დაერეკა, და მზად უნდა გვქონოდა მთელი მონაცემები ფრონტზე არსებული ვითარების შესახებ. უმაღლესმა მთავარსარდალმა დაადგინა შტაბის სადღეღამისო მუშაობის წესი და პირადად გაანაწილა ხელმძღვანელი შემადგენლობის დრო. შტაბის უფროსის მოადგილე ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვი სამსახურში თვრამეტ საათს უხდა ყოფილიყო. მე 43 წლის მაისიდან ოპერატიული სამმართველოს უფროსის თანამდებობა მეჭირა და დასვენების ნება მქონდა 14-დან 18 საათამდე. შინ სულ არ მივდიოდით. ღამის 3 საათზე ვბრუნდებოდით მთავარბანაკიდან.

მთავარბანაკში უმაღლესი მთავარსარდალი საფრონტო ვითარების ყველა წვრილმანს ეცნობოდა, იცოდა სარდლებისა და მეთაურების სახელები თვით კორპუსის მეთაურებამდე. ჩვენგანაც მოითხოვდა, რომ ნაწილები დაგვესახელებინა არა ნომრებით, არამედ მეთაურის გვარის მიხედვით. ჩვენ ასეც მოვახსენებდით ხოლმე, ჩვეულებრივ ვიწყებდით იმ ფრონტით, სადაც უფრო ცხარე ბრძოლები იყო.

**— უმაღლეს მთავარსარდალთან თქვენი ურთიერთობა მხოლოდ საქმიანი იყო?**

— ზოგჯერ სტალინი ვახშამზე მიგვიწვევდა ხოლმე ან გვეტყოდა: „მოდით კინო ვნახოთ". რა გვეკინოებოდა — აუარებელი სამუშაო გროვდებოდა ხოლმე, მაგრამ უარის თქმა არ შეიძლებოდა, ვრჩებოდით. უმაღლესი მთავარსარდალი ჩვენთან ერთად მხოლოდ ფრონტულ ქრონიკას უყურებდა. შესაძლოა ეს მხედველობით სახეთა მოთხოვნილებით აიხსნებოდა — მთელი ომის განმავლობაში იგი ფრონტზე მხოლოდ ერთხელ გაემგზავრა...

**— წიგნში თქვენ დაწვრილებით ლაპარაკობთ კურსკის რკალის შესახებ. ეს პირველი სალუტების ზაფხული იყო...**

— დიახ, სტალინგრადისა და კურსკის შემდეგ ცხადი გახდა: გერმანელთა არმიას ხერხემალი გადამტვრეული ჰქონდა. 5 აგვისტოს გენერალი ანტონოვი და მე მთავარბანაკში გამოგვიძახეს. როგორც ყოველთვის, მუხის მასალით მოპირკეთებულ ოთახში გრძელ მაგიდას, რომელზეც რუკები იყო გაშლილი, სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელები უსხდნენ.

— კითხულობთ თუ არა სამხედრო ისტორიას? — მოგვმართა უმაღლესმა მთავარსარდალმა ანტონოვსა და მე.

ჩვენ შევყოყმანდით, — ვის ეცალა მაშინ ისტორიისათვის? სტალინმა კი განაგრძო:

— რომ კითხულობდეთ, გეცოდინებოდათ, რომ ძველ რუსეთში, როცა ჯარები გამარჯვებას მოიპოვებდნენ, მხედართმთავრებისა და ჯარების პატივსაცემად ყველა ზარი გუგუნებდა. ცუდი არ იქნებოდა გავიხსენოთ ეს ტრადიცია და აღვნიშნოთ ჩვენი გამარჯვებანი არა მარტო მისალოცი ბრძანებებით. ჩვენ ვფიქრობთ, — სტალინმა თავით გაანიშნა მაგიდასთან მსხდომ მთავარბანაკის წევრებზე, — მეთაურებისა და იმ ჯარების პატივსაცემად, რომლებიც თავს გამოიჩენენ, მივცეთ ხოლმე საარტილერიო სალუტი და მოვაწყოთ რაიმე ილუმინაცია...

ეს „ისტორიისათვის მიმართვის" პირველი შემთხვევა როდი იყო. ომის პირველსავე წელს უმაღლესმა მთავარსარდალმა ბრძანა მის კაბინეტში სუვოროვისა და კუტუზოვის დიდი პორტრეტები დაეკიდათ. რუსეთის დიდი მხედართმთავრების სული უხილავად იყო მთავარბანაკში. მთელი ქვეყნის გასაგონად დროზე ნათქვამი სიტყვები „დაე აღგაფრთოვანებდეთ თქვენ... ჩვენი დიდი წინაპრების მამაცური სახე..." მართლაც აღაფრთოვანებდა ყველას — ჯარისკაციდან გენერლამდე. გამახვილებული გრძნობა შვილისა სამშობლოსადმი მთელი ხალხის მძლავრი იარაღი გახდა და უთუოდ გადამწყვეტი იყო ჩვენს გამარჯვებაში. უმაღლეს მთავარსარდალს ეს კარგად ესმოდა. მისი წინადადებით ჩვენმა დიდმა ოპერაციებმა მიიღო რუსი მხედართმთავრების საკადრო სახელები: „ბაგრატიონი", „კუტუზოვი", „მხედართმთავარი რუმიანცევი". ტრადიციას გადავუხადეთ ხარკი ახალი საარმიო ფორმის არჩევის დროსაც...

ამასობაში პირველი სალუტის გარშემო ყველაფერი სწრაფად გადაწყდა. იმავე საღამოს, 5 აგვისტოს, მომზადებულ იქნა მისალოცი ბრძანება ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლების აღსანიშნავად. მე დავურეკე მოსკოვის კომენდანტს, გენერალ-მაიორ სინილოვს და მივეცი საჭირო განკარგულებანი (სალუტებისათვის პასუხისმგებლობა გენერალურ შტაბს ეკისრებოდა). შუაღამე რომ მოახლოვდა, მთავარბანაკის წევრები კრემლის მოედანზე გამოვიდნენ, რომ დაენახათ, თუ როგორი იქნებოდა სალუტი. არტილერია მაშინ ყირიმის სანაპიროზე იდგა. და მოსკოვის ბევრ ადგილას დაყენებულ იქნენ მერაკეტეები. ის არ იყვნენ „მერაკეტეები" ახლანდელი გაგებით. ჯარისკაცთა ათეულმა მიიღო ინსტრუქცია: თვითეული ზალპის შემდეგ ესროლათ სარაკეტო პისტოლეტები.

ზუსტად შუაღამისას აგრუხუნდნენ საზენიტო ქვემეხები. მაგრამ ამჯერად ისინი უმუხტო ჭურვებს ისროდნენ, და ყოველი ზალპის შემდეგ მოსკოვის ცას ცეცხლი აჩირაღდნებდა. ჰკითხეთ იმათ, ვინც ნახა ეს პირველი სალუტი, ისინი გეტყვიან: მაშინ ბევრნი ცრემლს ვერ იკავებდნენ. ომის შუახანებია. გამარჯვებამდე კიდევ აურაცხელი დღე და ღამეა. მოსკოვი კიდევ მალავდა შუქს თავის ფანჯრებში, მაგრამ უკვე გაიჯაფა ჩვენი გამარჯვების შუქმა. ყველასათვის ცხადი იყო: ახლა წავალთ და წავალთ...

23 აგვისტოს ავიღეთ ხარკოვი. კვლავ სალუტი. და თუ პირველად 124 ქვემეხის 12 ზალპი მივეცით, ამჯერად სალუტი მივეცით 224 ქვემეხის 20 ზალპით...

ფრონტებზე ენთუზიაზმითა და მადლობით აღიქვეს მხედრული პატივის აღნიშვნა. დღეში რამდენჯერმე ურეკავდნენ შტაბს ფრონტებიდან და მოითხოვდნენ სალუტს მტრისგან განთავისუფლებული თითქმის თვითეული პატარა ქალაქისათვის. საჭირო გახდა გრადაციის შემოღება, ერთი და იგივე ხომ არ იყო, მაგალითად, კიევის თუ ბერდიჩევის განთავისუფლება. შემდეგში დამტკიცებულ იქნა მხედრული პატივის აღნიშვნის სამი კატეგორია: „324 ქვემეხის 24 ზალპი", „224 ქვემეხის 20 ზალპი", „124 ქვემეხის 12 ზალპი".

დადგა სიხარულით აღსავსე დღეები ჩვენი არმიის შეუკავებელი წინსვლისა დასავლეთისაკენ. მოსკოვი სალუტს აძლევდა ქალაქების, ძლიერ გამაგრებული პოზიციების აღებისათვის, მდინარეების გადალახვისა და კუნძულების დაკავებისათვის. უმაღლესი მთავარსარდალი თვალყურს ადევნებდა, რომ მხედრული პატივის აღნიშვნისას დაცული ყოფილიყო მკაცრი წესი. მახსოვს ერთი, ჩემთვის დრამატული შემთხვევა. მთავარბანაკში მოხსენების დროს კონევმა დარეკა და გვაუწყა რომელიღაც მსხვილი დასახლებული პუნქტის აღება. მთავარსარდალმა განკარგულება მოგვცა მაშინვე მივეცა სალუტი. მომზადებისათვის ერთი საათი გვქონდა. მე სასწრაფოდ ვუკარნახე მემანქანეებს ბრძანება, გავგზავნე იგი რადიოსტუდიაში და მოვახსენე, რომ 23.00 საათზე სალუტი იქნებოდა.

— მოვუსმინოთ, — თქვა სტალინმა და თავის მაგიდაზე ჩართო შეუხედავი მრგვალი დინამიკი.

ბრძანებას ყოველთვის იმ ანგარიშით კითხულობდნენ, რომ ერთი წუთის შემდეგ სალუტის ზალპებს დაექუხნა. დიქტორმა დაიწყო: „უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალს! უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა..."

სტალინმა მკაცრად შემომხედა:

— რატომ გამოტოვა ლევიტანმა კონევის გვარი? მომეცით ტექსტი!

ტექსტში გვარი არ იყო. შეცდომა მე დავუშვი. სტალინი საშინლად გაჯავრდა.

— რატომ გამოტოვეთ სარდლის გვარი? ეს რა უსახელო ბრძანებაა! თავი არ გაბიათ?

მე ვდუმდი.

— შეაჩერეთ გადაცემა და ყველაფერი ხელახლა წაიკითხეთ!

ტელეფონს მივაშურე. გავაფრთხილე, რომ ზალპები არ მიეცათ, შემდეგ რადიოში დავურეკე. ლევიტანმა თითქმის უპაუზოდ ხელმეორედ დაიწყო ბრძანების წაკითხვა, ახლა უკვე კონევის გვარით. სალუტი მისცეს, როგორც რიგი იყო. ყველაფერი ეს უმაღლესი მთავარსარდლის თვალწინ ხდებოდა. იგი თითქოს თვალს ადევნებდა ყოველ ჩემს მოძრაობას. როცა შეცდომის გასწორება მოხერხდა, გაჯავრებულმა მითხრა:

— შეგიძლიათ წახვიდეთ.

მე უკვე კარგად ვიცნობდი ამ კაცის ხასიათს. ჩემამდე ოპერატიული სამმართველოს ხუთი უფროსი შეიცვალა, და ყველას ესმოდა, რას ნიშნავდა „შეგიძლიათ წახვიდეთ"...

ორ დღეს არ წავსულვარ მთავარბანაკში. შტაბის ყველა საქმეს უმაღლესი მთავარსარდალი მხოლოდ ანტონოვთან წყვეტდა. ბოლოს, მთავარბანაკიდან დარეკეს: „მოდით და ბრძანება მოიტანეთ"...

— წაიკითხეთ, — მითხრა უმაღლესმა მთავარსარდალმა მკაცრად, მაგრამ შერიგების კილოთი. გვარი არ გამოგრჩენიათ?

...ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო იყო სალუტი, როცა ბერლინი ავიღეთ. მოსკოვი მაშინ სიხარულით იყო აგზნებული. წითელ მოედანზე დღედაღამ ირეოდა ხალხი. ყველა გამვლელს, ვისაც სამხედრო ფორმა ეცვა, ეხვეოდნენ და ჰაერში აბურთავებდნენ. და, ბოლოს, დადგა დღესასწაული, რომელსაც ტანჯვით აღსავსე ოთხ წელიწადს ველოდით, — 9 მაისი. იმ საღამოს 1.000 ქვემეხმა 30 ზალპით მისცა სალუტი გამარჯვებულ ხალხს... ასე იბადებოდა ტრადიცია დღესასწაულების აღნიშვნისა სალუტების ცეცხლით.

**— ხვალ 5 აგვისტოა... ოცდახუთი წელი... აღინიშნება თუ არა ეს თარიღი?**

— დიახ, ჩვენი ისტორიის ეს დიდმნიშვნელოვანი თარიღი აღინიშნება. სალუტით. ამჯერად ორ ქალაქში — ორიოლსა და ბელგოროდში.

* * *

**სურათზე:** პირველი საარტილერიო სალუტი მოსკოვში მამაცი ჯარების პატივსაცემად, რომლებმაც ორიოლი და ბელგოროდი გაათავისუფლეს (1943 წ. 5 აგვისტო).

# ნაირ-ნაირი

## — ნარსულის ძეგლებს ახალი სიცოცხლე

ახმეტა. ილტოს ხეობის მშვენება — მეშვიდე საუკუნის ძეგლი — ერელაანთ საყდარი („მატნის ღვთისმშობელი") კარგა ხანია მოითხოვდა აღდგენას. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველომ სარესტავრაციო სამუშაოთა პროექტი არქიტექტორ ო. თორთლაძეს მიანდო, ხოლო მისი განხორციელება — სამუშაოთა მწარმოებელ გ. ლომაურს. დაკისრებულ ამოცანას ორივემ წარმატებით გაართვა თავი. სულ მალე ქართული არქიტექტურის ეს მშვენება გვერდში ამოუდგება აღდგენილ ძეგლებს.

ტურისტების ჟღლისწყრომას იწვევდა მეათე საუკუნის უმშვენიერესი საერო ნაგებობის — კვეტერის — საერთო მდგომარეობა. სასახლის კარის ეკლესიის, ციხის გალავნების ნაპარტახალის რესტავრაცია-კონსერვაციის საკითხი წამოიჭრა მას შემდეგ, რაც ახმეტის რაიონის მშრომელებმა საზოგადოებრივ საწყისებზე ძეგლამდე გზის გაყვანა ითავეს. მიმდინარე წელს კვეტერის კარის ეკლესიის კედლები შირიმის ქვით, ხოლო სახურავი მოჭიქული ქართული კრამიტით აღდგება, პარალელურად იწარმოებს არქეოლოგიური გათხრები. მომავალ წელს დაიწყება სასახლისა და შიდაციხის აღდგენითი სამუშაოები.

ორ წელზე მეტია, რაც ახალ იერს იძენს ალაზნის ველის „თეთრი გედი" — ალავერდი. დღენიადაგ ხარაჩოებზე არიან მხატვარ-რესტავრატორები კ. ბაკურაძე და შ. აბრამიშვილი. მტკაველ-მტკაველ სტაცებენ ისინი ჟამთა სიავეს მშვენიერი ქართული საღებავისა და ფუნჯის სურნელს. ფეოდალური ხანის ოსტატთა ყალმით მოხატული კედლები ახალ სიტყვას იტყვიან ეროვნული ფერწერის ისტორიაში. პარალელურად ფუსფუსი არ წყდება ალავერდელ ეპისკოპოსთა სასახლის ხარაჩოებზე. სარესტავრაციო სახელოსნოს ოსტატები მალე სახურავსაც დაუბრუნებენ შირვანდელ სახეს — თუნუქი ქვის ლორფინოებით შეიცვლება.

კვეტერა, ალავერდი და მატნის ღვთისმშობელი ჩვენი ქვეყნის მრავალ სტუმარს დაალოცვინებს წინაპრების მადლიან მარჯვენას.

**ჯ. რჩეულიშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ლაპარაკობს ხოტევი

**ყოველ** პარასკევ საღამოს, როცა ხოტეველი (ამბროლაურის რაიონი) კოლმეურნეები სახლებში ისვენებენ, რამდენიმე წუთით გამოითიშება ცენტრალური რადიოგადაცემა და რეპროდუქტორებში ვაისმის ნაცნობი დიქტორის ხმა — ლაპარაკობს ხოტევი! დღეს მოისმენთ... იწყება ადგილობრივი ახალი ამბების მორიგი გადაცემა...

მიკროფონთან გამოდიან სოფლის თავკაცები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, გამოცდილი და მოწინავე მეცხოველეები, მემინდვრეები, მებაღეები, ბრიგადირები, მედიცინისა და კულტსაგანმანათლებლო დარგის მუშაკები. საკოლმეურნეო რადიოგადაცემათა რედაქციის კარგი მეთოდური მუშაობის შედეგად (ხელმძღვანელი პედაგოგი ჯ. კობახიძე) ადგილობრივი გადაცემები პოპულარობით სარგებლობს ხოტეველ მშრომელებს შორის.

**აკ. კერესელიძე.**

### მონადირის ბილიკებით

## მოსპეს მტაცებელი

**სოფელ** შუბნის პირუტყვს დათვი შეეჩვია. მოკლე დროში მან ათამდე სული პირუტყვი იმსხვერპლა. მაიაკოვსკის მონკავშირის გამგეობამ მტაცებელთა მოსპობა დაავალა მონადირეთა ბრიგადას, რომელსაც გამოცდილი მონადირე მ. კუნჭულია ხელმძღვანელობდა.

ნაწვიმარი დილა იყო. მთები ბურუსს დაეფარა. მეზობელი კოლმეურნეობის წევრი მ. გრძელიძე მონადირეებს შემოხვდა და უთხრა: დათვს საქონელი დაუჭამია, აქვე უნდა იყოსო. მონადირეები მხეცს დაუდარაჯდნენ. იგი მართლაც იქვე აღმოჩნდა. ნადირმა თითქოს საფრთხე იგრძნო და გაქცევა სცადა, მაგრამ მ. კუნჭულია კვალდაკვალ მიჰყვა მას, სხვებმა გზა გადაუჭრეს. გამძვინვარებული დათვი პირისპირ შეხვდა მ. კუნჭულიას და კ. გუმბერიძეს. მონადირეები არ დაიბნენ, სწრაფად ორ-ორი ტყვია დაახალეს და მხეცი უსულოდ დასცეს. ეს მათი ოცდამეცხრე ნადავლია.

**მ. ჭელიძე**
მაიაკოვსკის რაიონი.

## მწყემსმა დათვი მოკლა

**სინაგურის** კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში კარგა ხანია მწყემსად მუშაობს გაბრიელ ბაგაევი. ერთ დღეს იგი ჩვეულებრივად აძოვებდა პირუტყვს და უეცრად ძროხის ბღავილი შემოესმა: ვეება დათვი ძროხას ჩაფრენოდა კბილებით. მწყემსი არ დაიბნა, თოფი ზედიზედ ორჯერ დაახალა და დათვი უსულოდ დასცა. ნადირი 809 კილოგრამს იწონიდა.

**ც. ჯუსოევი.**
ჯავა.

## შეხვედრის ადგილია კიევი

მოსკოვი. 5 აგვისტო. (საკდესი). ჭადრაკში მსოფლიო გვირგვინის პრეტენდენტების გროსმაისტერების მ. კორჩნოისა და ბ. სპასკის ფინალური მატჩი დაიწყება 5 სექტემბერს კიევში. გათამაშდება 12 პარტია. გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც პირველი მოაგროვებს 6,5 ქულას. თუ ანგარიში საყაიმო — 6:6 იქნება, მაშინ მატჩი გაგრძელდება პირველ გამარჯვებამდე, რომელსაც მოიპოვებს ერთ-ერთი პრეტენდენტი შემდგომ 8 პარტიაში.

ასპარეზობის მთავარ არბიტრად დამტკიცებულია საერთაშორისო გროსმაისტერი ს. ფლორი.

## პორტიში თუ გელერი?

**სკოპლეს** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელი მე-19 ტურის წინ ლიდერია უნგრელი გროსმაისტერი **პორტიში,** რომელსაც 13 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილი უჭირავს **გელერს.** მასაც ერთი გადადებული პარტია აქვს. **პოლუგაევსკის** 12 ქულა აქვს, **გორტს** — 11,5 ქულა, **გლიგორიჩს** — 10,5 ქულა.

## ნახევარი ქულით...

**ამსტერდამში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. ჩეხოსლოვაკიელ გროსმაისტერს — კავალეკს ფინიშთან პოზიცია არ დაუთმია და 10,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. საბჭოთა გროსმაისტერი — ბრონშტეინი გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

# ო. ფხაკაძის ოქროს თვლები

**წლევანდელი** საკავშირო ჩემპიონატი ველორბოლაში ხარკოვის ტრეკზე მიმდინარეობს. ჭრავალ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის შემდეგ ეს შეჯიბრება ჩვენს ველომრბოლთათვის მეხიკოს ოლიმპიური ასპარეზობის წინ ძალთა უკანასკნელ მოსინჯვას წარმოადგენს.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყურადღების ცენტრში იდგა სპრინტერთა პაექრობა, სადაც სხვებთან ერთად გამოდიოდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **ო. ფხაკაძე.** ამ ასპარეზობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენს თანამემამულეს საბჭოთა კავშირში ბადალი არა ჰყავს და მსოფლიოშიც ერთ-ერთი უძლიერესია.

თბილისელმა დინამოელმა **ო. ფხაკაძემ** სძლია მეტოქეს და ჩემპიონის წოდება დაიმსახურა. სპრინტერულ რბოლაში მეორე ადგილზე გამოვიდა **ი. ცელოვალნიკოვი.**

ქალთა შორის 3 კილომეტრზე დადევნებით რბოლაში უძლიერესი იყო მსოფლიოს ჩემპიონი **ტ. გარკუშინა.** მან აჩვენა დრო — 4 წუთი და 2,6 წამი. მეორე ადგილი დაიკავა **რ. აბადოვსკაიამ.**

საინტერესო გამოდგა აგრეთვე გუნდური რბოლა დადევნებით 4 კილომეტრზე ვაჟთათვის. აქ ნახევარფინალში გავიდნენ: „დინამოს" ორი გუნდი, შეიარაღებულ ძალთა და „ბურევესტნიკის" ველომრბოლთა კოლექტივები.

* * *

**სურათზე:** სსრ კავშირის ჩემპიონი სპრინტერულ რბოლაში ო. ფხაკაძე.

ფოტო ვ. გენგიურისა.



# დღეს მეოთხედფინალებია

**სსრ კავშირის** თასის გათამაშება ფეხბურთში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დღეს გაიმართება მეოთხედფინალური მატჩები. ეს შეხვედრები შედგება **დონეცკში, მოსკოვში, ლუგანსკსა და ალმა-ატაში.**

დონეცკში ადგილობრივ „შახტიორს" პაექრობა ექნება კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან, მოსკოვის „ტორპედო" კი საკუთარ მოედანზე შეხვდება სვერდლოვსკის „ურალმაშს". ლუგანსკში ითამაშებენ „ზარია" და ტაშკენტის „პახტაკორი", ალმა-ატაში — „კაირატი" და ბაქოს „ნეფტჩი".

## ბათუმსა და ტყიბულში

**შედგა** „ა" კლასის მეორე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში.

**ბათუმის** „დინამომ" საკუთარ მოედანზე დაამარცხა პერმის „ზვეზდა" 2:0.

**მატჩი** ტყიბულში „მეშახტისა" და იჟევსკის „ზენიტის" გუნდებს შორის დამთავრდა ტყიბულელთა გამარჯვებით 2:0.

## „ბ" კლასის ზონებში

**გაიმართა** „ბ" კლასის გუნდების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

**მესამე ზონა** — რუსთავის „მეტალურგი" — ნახჭევანის „არაზი" 3:0, გორის „დილა" — მინგეჩაურის „ტექსტილშჩიკი" 3:0, გურჯაანის „ალაზანი" — ზაქათალის „დაშქინი" 2:0.

**მეოთხე ზონა** — ოქტემბერიანის „სევანი" — ჭიათურის „მადნეული" 2:1, ეჩმიაძინის „არაქსი" — ცხინვალის „სპარტაკი" 3:0, პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელი" — ზუგდიდის „ენგური" 1:0, გროზნოს „ტეროკი" — სოხუმის „დინამო" 1:1, მოზდოკის „ირისტონი" — ფოთის „კოლხეთი" 3:2, ქობულეთის „შუქურა" — კრიმსკის „უროჟაი" 3:0, მახარაძის „მერცხალი" — კისლოვოდსკის „სპარტაკი" 2:0, ლანჩხუთის „გურია" — ნოვოროსიისკის „ცემენტი" 0:0.

## რამდენიმე სტრიქონით

◆ **პოლონეთის** ფეხბურთელთა ცნობილი საკლუბო გუნდი „გურნიკი" მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მიმდინარეობს. პირველ მატჩში „გურნიკი" დამარცხდა ადგილობრივ გუნდთან — „კალისთან" შეხვედრაში 1:2, მეორე მატჩი კი მოიგო „მილიონარიოსთან" (კოლუმბია) 5:0.

◆ **საფრანგეთის** ქალაქ ვიშში მიმდინარეობს გალეას თასის — ევროპის არაოფიციალური პირველობის გათამაშების დასკვნითი შეხვედრები ჩოგბურთში იუნიორთა შორის.

სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც ნახევარფინალში დამარცხება განიცადა, ამჟამად მესამე ადგილისათვის იბრძვის. აქ მისი მეტოქეა იტალიის გუნდი. ამ გუნდების პირველი დღის შეხვედრის შემდეგ წინ არიან იტალიელები 2:0.

პირველი ადგილისათვის ბრძოლა მიმდინარეობს ესპანეთისა და საფრანგეთის გუნდებს შორის. დაწინაურდნენ ესპანელები. ჯერჯერობით ანგარიშია 1:0.

„კომუნისტი" სპორტი

## სპარტაკელებს ლიდერობა სურთ

**კვირას** მეტად დაძაბული იყო მოსკოვის „სპარტაკისა" და არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ფეხბურთელთა შეხვედრა. მატჩი მოიგეს სპარტაკელებმა ანგარიშით 2:0. ორივე გოლი გაიტანა **ევლენტიევმა.**

სპარტაკელებმა მეტად მნიშვნელოვანი 2 ქულა ჩაიწერეს აქტივში, მაშინ, როცა ბევრს მიაჩნდა, რომ გუნდის თამაში უკანასკნელ მატჩებში რამდენადმე უფერული გახდა. (საკდესი).

## კიეველები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ

**ჰააგა.** 5 აგვისტო. (საკდესი). კიევის „დინამოს" ფეხბურთელებმა აქ დიდი ანგარიშით — 1:5 (0:3) წააგეს ადგილობრივ ადოს კლუბთან. ერთადერთი ბურთი საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე, როცა ანგარიში იყო 0:5, გაიტანა პარკუიანმა. კიეველთა მეტოქეებს ახლა მესამე ადგილი უკავიათ ჰოლანდიის ჩემპიონატში და თავისი ქვეყნის თასის მფლობელები არიან.

# ნახეთ თბილისის ეკრანებზე



## ერთხელ კიდევ სიყვარულზე

**სცენარის** ავტორი: ე. რაძინსკი.
**რეჟისორი:** გ. ნატანსონი.
**როლებში:** ტატიანა დორონინა, ალ. ლაზარევი, ო. ეფრემოვი და სხვები.
კინოსტუდია „მოსფილმის" ნაწარმოები.

# რადიო

**ოთხშაბათი, 7 აგვისტო**

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — საყვარელი მელოდიები, 08.30 — პოპულარული საორკესტრო ნაწარმოებები, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.10 — უკანასკნელი ცნობები, 11.15 — კონცერტი მოცარტის კამერული ნაწარმოებებიდან, 12.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. კომპოზიცია „მღერის ოქტიბერ-კლუბი", 12.45 — სავსტრადო კონცერტი, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 15.00 — რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები". გადმოცემა მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ინდური სიმღერები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ს. ცინცაძე. მეექვსე სიმებიანი კვარტეტი, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — სიმღერები. პირველი საკავშირო კონკურსის ლაურეატის ვ. ვუიაჩიჩის კონცერტი, 19.00 — ციკლიდან „მოწინავე გამოცდილების სკოლა". საუბარი „კისისხეველ მევენახეთა გამოცდილება", 19.15 — დებიუსი. პატარა სიუიტა სიმფონიური ორკესტრისათვის, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — რუსული სიმღერები თ. მილაშკინას შესრულებით, 20.20 — საერთაშორისო კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი". ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — „საუბარი „მწერალი და თანამედროვეობა", 21.50 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — რადიოსადგურ „იუნოსტის" პროგრამა — ფესტივალის კონკურსების ლაურეატები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

**სამშაბათი, 6 აგვისტო**

11.00—გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.25 — მხატვრული ფილმი „რკინის ნიაღვარი", 12.45 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალზე (ვიდეოჩანაწერი), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები და რეკლამა, 18.20 — ბავშვებისათვის — ფილმი-კონცერტი „ერთ სამეფოში", 19.15 — გადაცემა „სწავლის დაწყებამდე", 19.40 — მხატვრული ფილმი „რკინის ნიაღვარი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე — მეოთხედფინალური შეხვედრა — „ტორპედო" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი), მეორე ტაიმი. შეხვედრის შემდეგ „სატელევიზიო ახალი ამბები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალზე (გადმოცემა ბულგარეთიდან).

## რა ვნახოთ. რა მოვისმინოთ

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

„კომუნისტი" | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99,03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54. განცხადებების — 93-93-96.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები



ეროვნული ბიბლიოთეკა